# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 17 აგვისტო, 2010 წელი.

№152 (6518)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## სკანდალმოყ

③



რექტორობის ვადა ხომ ისეც რამდენსამე თვეში უმთავრდებოდა!

## გია ხუბუა – განტევების ვაცი?..

## საქართველო რუსეთის ბაზრის შემცვლელს ეძებს, მაგრამ იპოვის? ⑧





## მკათათვეს მოყოლილი ცივი ემბარგო ⑥

## ქართული სინდრომი ⑧






## ④ ლოცვის იმედად დარჩენილი ლტოლვილის აღსარება



## როგორი ლიდერები სჭირდება ქართველ ხალხს? ④



## მსოფლიო ლიტერატურა – ჩვენი ბიბლიოთეკა

პაულო კოელიოს „ბრიდა“ ⑨





პრეზიდენტ სააკაშვილს ქვეყნის გაამთლიანების უნიკალური შანსი აქვს

## მართალი ბრძანდებით, მაგრამ... ცდებით! ②

◎ პოლემიკა

# მართალი ბრძანდებით, მაგრამ... ცდებით!

**ვინაიდან სიტყვის თავისუფლება ისე გავიგეთ, რომ სიტყვა აზრს კი არ უნდა გამოხატავდეს და ფაქტების ცოდნასა და ლოგიკურ აზროვნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ ყოველგვარი შინაარსისგან დაცლილი ცარიელ სიტყვათა უსაგნო და უმიზნო რახარუხი უნდა იყოს, ცხადია, ვერანაირი სიტყვა და ვერანაირი ნათქვამი ველარ გვაკვირვებს, მაგრამ სიტყვათა ამ ქაოსურ კორიანტელში, ალაგ-ალაგ მაინც გამოერევა ისეთი უცნაური ნათქვამი და ნააზრევი, რომ გაკვირვებას იწვევს...**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 3 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ პოლიტოლოგ ჯუმბერ კირვალიძესთან, რომელსაც პირადად არ ვიცნობ და არც მისი პოლიტოლოგიური მოღვაწეობის შესახებ მსმენია რამე. ამდენად, მისი ნააზრევის შეფასებისას გამორიცხულია, რამე სუბიექტური დამოკიდებულება მამოძრავებდეს...

სუბიექტური აქ მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ მე პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ წარმომადგენელი ვარ, და როგორც ამ პარტიის დასახელებიდანაც ჩანს, ნეიტრალიტეტის იდეის ერთ-ერთი მხარდამჭერი და გამხმოვანებელიც გახლავართ. ბატონი კირვალიძე კი სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით საუბრობს.

კაცმა რომ თქვას, ამ ბატონთან საკამათო თითქოს არაფერი უნდა მქონდეს, ვინაიდან იგი ასე ბრძანებს: **„ნეიტრალიტეტის რუსული ვარიანტისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე და საერთაშორისო გარანტიების არსებობის პირობებში გამოცხადებული ნეიტრალიტეტი საფუძველს ქმნის ქვეყნის გამთლიანებისთვის და შეესაბამება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და მის ევროპულ ორიენტაციას“.**

ამ გრძელი წინადადებიდან თუ ამოვიღებთ ავტორის იმ დებულებას, რომ **„ნეიტრალიტეტი საფუძველს ქმნის ქვეყნის გამთლიანებისთვის“,** ეს საღი მსჯელობაა და მის ამ აზრს, ბუნებრივია, ვიზიარებ, მაგრამ მთლიანად ეს წინადადება მაინც გაოცებას იწვევს. რას ნიშნავს ნეიტრალიტეტის რუსული ვარიანტი და საერთაშორისო გარანტორების არსებობის პირობებში გამოცხადებული ნეიტრალიტეტი? „ნეიტრალიტეტის რუსული ვარიანტი“ იმდენად უცხო გამოთქმაა, რომ იგი ნებისმიერ მკითხველს ყურს ჭრის, მაგრამ კიდევ უფრო უცნაური ჩანს ამ აბსურდის („ნეიტრალიტეტის რუსული ვარიანტის“ძ შეპირისპირება „საერთაშორისო გარანტორის არსებობის პირობებში გამოცხადებულ ნეიტრალიტეტთან“. ნეიტრალიტეტის გამოცხადება ამა თუ იმ სახელმწიფოს გადასაწყვეტია, მისი ნების გამოვლენაა, მაგრამ ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტის აღიარება სწორედ საერთაშორისო თანამეგობრობის, ცალკეული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმეა, სხვანაირი ნეიტრალიტეტი ბუნებაში არც არსებობს და ვერც იარსებებს. ნეიტრალიტეტის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება რთული პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რომელსაც კიდევ უფრო რთული პროცედურული საქმიანობით გამაგრება სჭირდება, მაგრამ რას ნიშნავს, სად გაიგონა ან საიდან მოიტანა პატივცემულმა პოლიტოლოგმა ისეთი ცნება, როგორიცაა „ნეიტრალიტეტის რუსული ვარიანტი“?

აქ თუ ის იგულისხმება, რომ საქართველოს მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადებითა და ამ ნეიტრალიტეტის საერთაშორისო აღიარებით რუსეთია დაინტერესებული, ეს ცუდი კი არ არის, პირიქით, ძალიან კარგი და მისასალმებელი ამბავია, ვინაიდან რუსეთი ის ზესახელმწიფოა, რომელსაც უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია საერთაშორისო თანამეგობრობაზე და, მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის ნეიტრალიტეტით მისი დაინტერესება ამ მიზნის მიღწევაში დიდად დაგვეხმარება. რაც შეეხება საერთაშორისო გარანტორებს, რომელთა შესახებაც ავტორი საუბრობს, რუსეთი (თუკი იგი დაინტერესებულია, რომ ჩვენ ნეიტრალური სახელმწიფო ვიყოთძ, სწორედ რომ, ყველაზე დიდი გარანტორი იქნება.

სხვაგან ავტორი კვლავ იყენებს ცნებას – „რუსული ნეიტრალიტეტი“ და მის საწინააღმდეგო მოვლენად მიიჩნევს „დასავლურ ნეიტრალიტეტს“. საინტერესოა, დღეს არსებულ ნეიტრალურ სახელმწიფოთა შორის რომელს მიაკუთვნებდა ავტორი „რუსულ ნეიტრალიტეტს“ და რომელს – „დასავლურ ნეიტრალიტეტს?“ ამა თუ იმ ქვეყნის ნეიტრალიტეტი საერთაშორისო საზოგადოების მიერ მისთვის ამგვარი სტატუსის მინიჭებას თუ ნიშნავს, ცხადია, რომ რუსეთი დასავლეთის გარეშე ამგვარ სტატუსს ვერავის მიანიჭებს, ისევე, როგორც დასავლეთი ვერ მიანიჭებს ამგვარ სტატუსს ვერავის რუსეთის თანხმობის გარეშე. თუკი ბატონი კირვალიძე ეთანხმება ნეიტრალიტეტის იდეას, მაშინ ამდენი იწილო-ბიწილო („რუსული ნეიტრალიტეტი“, „დასავლური ნეიტრალიტეტი“ძ საჭირო არ არის. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა იმ არგუმენტების მოტანა, რომელიც ამგვარი გადაწყვეტილების საფუძველი უნდა იყოს. ასეთი არგუმენტები (ამჟამად მათ ჩამოთვლას არ შევუდგებიძ გვაქვს ჩვენ – პარტია „ნეიტრალურ საქართველოს“. მადლობა ღმერთს, რომ, პარალელურად, გამოჩნდა სერიოზული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ამავე აზრზე დგას. ეს არის საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი ბატონ ალექსანდრე ებრალიძის თაოსნობით. ჩვენ, საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ვასაბუთებთ, რომ

**საქართველოს ნეიტრალიტეტი სასურველი მიზანი კი არ არის, არამედ ერთადერთი, სასიცოცხლოდ აუცილებელი და უალტერნატივო პირობაა საქართველოს გადასარჩენად და მისთვის ტერიტორიული გამთლიანებისა და ეკონომიკური აღორძინების შანსის შესანარჩუნებლად.**

საქართველოს ნეიტრალიტეტი სასურველი მიზანი კი არ არის, არამედ ერთადერთი, სასიცოცხლოდ აუცილებელი და უალტერნატივო პირობაა საქართველოს გადასარჩენად და მისთვის ტერიტორიული გამთლიანებისა და ეკონომიკური აღორძინების შანსის შესანარჩუნებლად.

**ამ იდეას მხარი დაუჭირა ალექსანდრე ებრალიძის მიერ მიმდინარე წლის აპრილში, სანკტ-პეტერბურგში ორგანიზებულმა ქართულ დიასპორათა მსოფლიო ფორუმმაც, სადაც დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტიდან ჩამოსულმა ორი ათასზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ აღიარა ამ იდეის სისწორე და აუცილებლობა.**

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ნეიტრალიტეტის აუცილებლობის დამადასტურებელი არგუმენტაციების მოხმობას აქ არ შევუდგები-მეთქი, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს:

**ნეიტრალიტეტი, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა რუსეთთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად და მასთან კონფრონტაციის რეჟიმის დიალოგითა და პარტნიორობის რეჟიმით შესაცვლელად.**

ნეიტრალიტეტის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი ხიბლი სწორედ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების პერსპექტივაა. შეუძლებელია ადამიანი რუსეთთან კონფრონტაციის მომხრე იყოს და ნეიტრალიტეტის იდეას იცავდეს, რადგან ასეთ შემთხვევაში ნეიტრალიტეტი აზრს დაკარგავს. **ნეიტრალიტეტი მხოლოდ ქაღალდზე ვერ იარსებებს, იგი პირველ ყოვლისა, რეალობაში უნდა არსებობდეს.** იმიტომ არის სარწმუნო ბატონ ალექსანდრე ებრალიძის მიერ ამ იდეის წამოწევა, რომ იგი მას არ განიხილავს სტერილურად, მოვლენებისგან მოწყვეტილად და დამოუკიდებლად, არამედ განიხილავს მიმდინარე პროცესების გათვალისწინებითა და ამ მოვლენათა პარალელურად, ანუ დიალექტიკურად, მიზეზ-შედეგობრივ კავშირში და აცხადებს, რომ საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი იქნება ის ოპტიმალური მიდგომა, რომელზეც აუცილებლად შეთანხმდებიან წამყვანი სახელმწიფოები, პირველ რიგში კი, რუსეთი და აშშ. რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ საქართველო გამოვა მოჯადოებული წრიდან, იგი აღარ იქნება განხეთქილების ვაშლის როლში ორ ზესახელმწიფოს შორის და აღარ იქნება მათი პოლიტიკური და სამხედრო შეხლა-შემოხლისთვის ის ასპარეზი, სადაც მუდმივად ქართველები მარცხდებიან!

ახლა ვნახოთ, თუ როგორ მსჯელობს და რა მიზნები აქვს ბატონ კირვალიძეს: **„ეს პროექტი („დასავლური ნეიტრალიტეტი“ – ვ.კ.ძ სწორედ მოსკოვის სტრატეგიული გეგმის წინააღმდეგ არის მიმართული. დარწმუნებული ვარ, რომ დასავლეთის (ნატო) გარანტიით მიღებული ნეიტრალიტეტი არის რეალური საშუალება ქვეყნის გამთლიანებისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებისა“.**

ნახეთ რა „ჭკვიანურ“ გეგმას გვთავაზობს პატივცემული პოლიტოლოგი: **ნეიტრალიტეტი მას რუსეთთან კონფრონტაციის მოსახსნელად კი არა, თურმე, ამ კონფრონტაციის გასამწვავებლად სჭირდება და, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, იგი ნეიტრალიტეტს, თურმე, კვლავ ნატოსთან დასაახლოებლად აცხადებს.**

თქვე კაი დედმამიშვილო, რაც ნატოსა და დასავლეთის მოიმედეობამ, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, რუსეთთან დაპირისპირებამ ჩვენს ქვეყანას გაუკეთა, იმას კიდევ რამეს წამატება სჭირდება, ახლა უკვე ნეიტრალიტეტის გამოცხადებით?! ბატონ კირვალიძეს ჰგონია, რომ რუსეთს გააცურებს და გააცუცურაკებს, საქართველოს ნეიტრალიტეტს აღიარებინებს და მერე, „დასავლური ნეიტრალიტეტით“ გულმოცემული, მეზობელს კიდევ უფრო გააფთრებით შეუტევს. ერიჰა, მთლად გაუტევია ქართულ ცნობიერებას, თუკი ასე ფიქრობს ქართველი ხალხი, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, და მისდა სამწუხაროდ, არა მგონია ქართველი ერი ბატონ ჯუმბერ კირვალიძის პირით ლაღადებდეს.

სამწუხარო ამაში მხოლოდ ისაა, რომ ჭეშმარიტებასთან ახლოს მისული ადამიანებიც კი, როგორც ვხედავთ, ვერ თავისუფლდებიან შაბლონისგან, რომელიც რუსული მტრის ხატის აღიარების აუცილებლობაში გამოიხატება.

რუსეთი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მტერი თუ არის, ეს მისასალმებელიცაა, რადგან ჩვენი მტრის მტერი, რამდენადმე მაინც არის ჩვენი მოკეთე. ობიექტურ მიზეზთა გამო რუსეთი საქართველოს ხელისუფლების მტერი თუ არის, ეს საკითხის ერთი მხარეა, მაგრამ ღმერთმა არ ქნას, რომ რუსეთი საქართველოს მტრად იქცეს, არადა, ამ ხელისუფლებას ყველაფერი აქეთკენ მიჰყავს, რაც ნათელი დასტურია იმისა, რომ ამ ხელისუფლებაზე დიდი მტერი საქართველოს არასოდეს ჰყოლია.

ბატონმა ჯუმბერ კირვალიძემ განხილულ ინტერვიუში ნეიტრალიტეტის საკითხი სწორად წამოსწია, მაგრამ, სამწუხაროდ, მასში ისეთი შინაარსი ჩადო, რომელიც ისევე მიუღებელია, როგორც საქართველოს ნატოში გაწევრება, ან ყბადაღებული, ეროვნული შინაარსისგან აბსოლუტურად დაცლილი, თვითმიზნური და ავადმყოფური პროდასავლურობა. ამდენად, ამ ინტერვიუში საკითხის დასმა სწორი იყო, მისი გადაწყვეტა კი – უმართებულო!

**ვალერი კვარაცხელია**




◎ ალიან-ჩალიანი

## გარემოვაჭრეები აქციებით აპირებენ ადგილების დაბრუნებას

**თბილისის მერიასთან გარემოვაჭრეებმა გარევაჭრობის აღდგენის მოთხოვნით, საპროტესტო აქცია გამართეს და ქალაქის მერის გიგი უგულავას სახელზე განცხადება შეიტანეს, რომელიც გარევაჭრობის რეგულირების წინადადებებს შეიცავს.**

**გარემოვაჭრეთა განცხადებით, დიდ ბაზრობებში ისინი ვერ გაუძლებენ კონკურენციას, რადგან ძალიან მცირებიუჯეტიანი სავაჭრო ბრუნვა აქვთ.**

**როგორც კონსერვატიული პარტიის წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა, გარევაჭრობა არის ქალაქის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფორმა, რომლის დარეგულირება და კარგად მოწყობა შეიძლება. გარევაჭრობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია მიღებული, თუმცა სისუფთავეს იცავენ და ქალაქების მუნიციპალიტეტები სპეციალურ ადგილებს გამოყოფენ.**

**აქციაზე გარემოვაჭრეთა პროფესიული ლიგის შექმნის შესახებ სპეციალური ბლანკები შეავსეს. აღნიშნული გაერთიანება მათი სახელით მათი უფლებების დაცვისთვის იბრძოლებს.**

**გარემოვაჭრეთა აქციას ჩხარტიშვილის გარდა, „ხალხის პარტიის“ წევრი ალექსანდრე შალამბერიძე, ასევე მოძრაობა „არას“წარმომადგენლები შეუერთდებიან.**

**გარემოვაჭრეთა მომდევნო აქცია ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციასთან გაიმართება.**

## როგორ იმუშავებენ ამერიკელი ექსპერტების მიერ დამუნათებული საკრებულოს წევრები?

**რა უფლებები აქვთ საკრებულოს წევრებს და როგორ უნდა მართონ უკეთ რეგიონები, ამ თემაზე ბათუმში, გუშინ ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის ორგანიზებით, „ქრისტიან-დემოკრატებმა“ შიდაპარტიული კონფერენცია გამართეს.**

**ექსპერტებმა მთელი საქართველოს მასშტაბით, საკრებულოს 80-მდე წარმომადგენელს რჩევები მისცეს, თუ როგორ უნდა მართონ რეგიონები და რა გზით შეიძლება განვითარდეს რეგიონული თვითმმართველობის ორგანოები.**

**— მთელი საქართველოს მასშტაბით, ჩვენი დეპუტატები იქნებიან მოსახლეობის პრობლემების თანაზიარი. გააკეთებენ ყველაფერს, რათა ამ პრობლემების მოგვარებას ხელი შეუწყონ. ასეთ საქმეებს კი, პოლიტიკური პასუხისმგებლობის გარდა, შესაბამისი ცოდნით შეიარაღებაც სჭირდება. სწორედ ამ დღეების განმავლობაში ჩვენი ამერიკელი კოლეგებისა და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით, ვიმუშავებთ იმაზე, რომ ცოდნის ხარისხი კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს და მეტად ვიბრძოლოთ და ვიმუშაოთ რეგიონული თვითმმართველობის გასაუმჯობესებლად, — განცხადა „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვინ — ვის?

**ავტორიტეტული, პატრიოტი, წონიანი, მაგრამ „ხულიგანი“ პროფესორებისგან დაცლილი დედაუნივერსიტეტის რექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გია ხუბუა იძულებით გადადგა! 13 აგვისტოს მან სასწრაფოდ შეკრიბა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (12-დან შვიდმა წევრმა ძლივს მოიყარა თავი!) და საკუთარი გადაწყვეტილება განცხადებით დაადასტურა. საგანგებო საბჭოს სხდომის მონაწილენი, რა თქმა უნდა, ერთხმად დაეთანხმნენ რექტორს, რადგანაც ზემოდან წამოსულ უნივერსიტეტის სახელის „გამფარჩაკებელ“ ბრალდებებს წინ ვეღარავინ აღუდგებოდა!**

**იმ დღეს რექტორი გია ხუბუა ნამდვილად არ ჰგავდა შეშინებულს, პირიქით, მან ისიც კი თქვა, რომ უნივერსიტეტის პრესტიჟისა და ღირსების დასაცავად, მასმედიაში გახმაურებული ყალბი ინფორმაციების გასაბათილებლად სამართალდამცავ ორგანოებსაც კი მივმართავო!**



# გია ხუბუა – განტევების ვაცი?..

ბოლო დღეებში სახელისუფლებო ტელევიზიების ეთერი წალეკა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დავანებული უძვირფასესი წიგნების ქურდობის ფაქტებმა. სამსახურებრივი გულგრილობისთვის დააკავეს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი თამარ ნემსიწვერიძე. მას სახლში აღმოუჩინეს XVIII-XIX საუკუნეებში გამოცემული 92 ძვირადღირებული წიგნი. დააკავეს აგრეთვე ბიბლიოთეკის კომენდანტი თამაზ ნიკოლეიშვილი და მფრინავთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მერაბ ჭელიძე, რომელიც წიგნის ქურდებს უცხოეთში (უკრაინაში!) ამ უნიკალური გამოცემების გატანასა და რეალიზაციაში ეხმარებოდა. სამიოდე კვირის წინ პოლიციამ საუნივერსიტეტო სკანდალის რამდენიმე მონაწილეც გაკოჭა. ესენი იყვნენ ვინმე ვაჟა აზარიაშვილი, ზურაბ აღდგომელაშვილი და კახა ხოტენაშვილი.

**ამის გარდა, გია ხუბუას ბრალად უყენებენ ფინანსურ დარღვევებს, აღურიცხავ ქონებას და უკანონოდ გაზრდილ ხელფასს!**

მართალია, ყველაფერი ეს ჯერ მხოლოდ ბრალდებებია და ძიების დამთავრებამდე არავის აქვს უფლება რექტორი დამნაშავედ გამოაცხადოს, მაგრამ... ამ პაპანაქება ზაფხულში, როცა ქვეყნის პრეზიდენტი თბილისში არ იმყოფებოდა (სხვათა შორის, არც გია ხუბუა იყო საქართველოში), ვინ გაბედა ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სახელის შებილწვა და ნაციონალთა გუნდის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის, თანაც — სამართალმცოდნე პროფესორის გია ხუბუას გათელვა?

* * *

**„რა წიგნები, რის წიგნები, არ იცით, რომ ყველა ამგვარი ამბავი შეთხზულია?“** — ბრაზობდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, პროფესორი **გუგული მაღრაძე** ტელეჟურნალისტთა დაჟინებულ შეკითხვაზე: **საკუთარი ნებით რატომ გადადგა რექტორი, წიგნების ქურდობის ფაქტი მართალია?**

მართლაცდა, რექტორმა გადადგომამდე სამიოდე დღით ადრე საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და ოლიმპიური სიმშვიდით განაცხადა:

**„იყო ინფორმაცია, თითქოს უნივერსიტეტის რექტორი წიგნებს იპარავს; რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები ჩართულები არიან უნიკალური წიგნების ბიზნესში... ეს აბსურდული ბრალდებებია და ყველა წიგნის დაკარგვასთან დაკავშირებით თავად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მიმართავდა სამართალდამცველებს და ითხოვდა გამოძიების დაწყებას... არა მარტო წიგნების, არამედ ყველა მატერიალური ფასეულობის დაკარგვაზე ჰქონდა უნივერსიტეტს რეაგირება... მსგავსი ინფორმაციები ჩრდილს აყენებს უნივერსიტეტისა და მისი ხელმძღვანელობის პრესტიჟის საკითხს, ასევე, აზიანებს იმ საქმეებს, რომლებიც უნივერსიტეტის განვითარებისკენ არის მიმართული. კერძოდ ფონდ „ქართუს“ დაგეგმილი აქვს ერთი მილიონი დოლარის ახალი წიგნები შეიძინოს უნივერსიტეტისთვის, ასეთი ბრალდებები კი უნივერსიტეტისთვის კარგის მომტანი ნამდვილად არ არის!, მე მოვუწოდებ ყველა დაინტერესებულ ორგანოს, გამოიკვლიონ უნივერსიტეტის საქმიანობა“...**

იმ დღეს რექტორი გია ხუბუა ნამდვილად არ ჰგავდა შეშინებულს, პირიქით, მან ისიც კი თქვა, რომ უნივერსიტეტის პრესტიჟისა და ღირსების დასაცავად, მასმედიაში გახმაურებული ყალბი ინფორმაციების გასაბათილებლად, სამართალდამცავ ორგანოებსაც კი მივმართავო!

**ეს იყო 9 აგვისტოს. 13 აგვისტოს კი გია ხუბუა საკუთარი განცხადებით, აქაოდა სამეცნიერო საქმიანობას მეტი დრო უნდა მოვახმაროო, — რექტორობიდან გადადგა.**

***— მაინც, რა მოხდა, ქალბატონო გუგული, თქვენ აშკარად გსურთ რაღაც ახალი და მნიშვნელოვანი უთხრათ საზოგადოებას! — ვეკითხები გუგული მაღრაძეს.***

— გია ხუბუამ, ჩემი აზრით, ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო. თუმცაღა, მიიღო თუ მიაღებინეს? — ალბათ, მიაღებინეს! — რამდენიმე დღის წინ, თუ რექტორი სამართალდამცავებთან თანამშრომლობას გვპირდებოდა, რატომ არ აცალეს?.. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2008 წლის მარტში წიგნების დაკარგვასთან დაკავშირებით რექტორმა ვაკის პოლიციას მიმართა... ასევე რექტორმა სთხოვა

**რექტორობის ვადა ხომ ისეც რამდენსამე თვეში უმთავრდებოდა!**



**გუგული მაღრაძე:**

**გია ხუბუა არ არის ის ტიპი, რომელსაც შეუძლია მოხვეჭის და გამდიდრების მიზნით რაიმე უღირსი საქციელი ჩაიდინოს...**

განათლების სამინისტროს ე. წ. ყალბი დიპლომების საქმე ბოლომდე გაერკვია. საბედნიეროდ, მაშინ მართლაც გაარკვიეს, რომ უნივერსიტეტის მარნეულის ფილიალში გამოვლენილი ყალბი დიპლომების ფაქტთან გია ხუბუას არავითარი შეხება არ ჰქონია. ამით იმის თქმა მინდა, რომ უნივერსიტეტს და მის რექტორს კარგა ხანია უკირკიტებენ... მე ფსიქოლოგი ვარ და დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ: **გია ხუბუა არ არის ის ტიპი, რომელსაც შეუძლია მოხვეჭის და გამდიდრების მიზნით რაიმე უღირსი საქციელი ჩაიდინოს...**

***— კი მაგრამ, ქალბატონო გუგული, ხელფასის გაორმაგება რაღა იყო?***

— აქაც ელემენტარულ უცოდინარობასთან გვაქვს საქმე. ამ რამდენიმე წლის წინათ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, როგორც უნივერსიტეტის შიდა ბიუჯეტის ყველაზე სოლიდური შემავსებლები, (მოგეხსენებათ, ეს ფაკულტეტი ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია და სწავლაც ძვირი ღირს!) შემოვიდნენ დასაბუთებული წინადადებით, რომ იმ პროფესორებს, რომლებსაც თსუ-ში ორმაგი დატვირთვა აქვთ, ხელფასიც გაუორმაგდეთ. დიდი კამათის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ იურიდიული ფაკულტეტის წინადადება მისაღები და სწორი იყო. გია ხუბუა მართალს ამბობს, რომ მას სწორედ ორმაგი დატვირთვა აქვს, მხოლოდ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს და იმდენსავე ხელფასს იღებს, რამდენსაც სხვა პროფესორები. ეს ყოველთვიური განაკვეთი რექტორისთვის 7100 ლარს შეადგენს და ბევრად ნაკლებია იმ „სახელოვან“ რექტორ-პრორექტორების ანაზღაურებაზე, რომლებიც 6-7 ადგილას მუშაობენ! არაფერს ვამბობ იმ სახელმწიფო მოხელეებზე, რომლებიც უზარმაზარ ხელფასებზე ზუსტად ერთ იმდენს პრემიის სახით იღებენ და სახელმწიფო ბიუჯეტს ხრავენ... ასე რომ, დღეს უნივერსიტეტის რექტორის არაადეკვატურ ანაზღაურებაზე ლაპარაკი სირცხვილიც კია!

***— წელიწადში თხუთმეტჯერ საზღვარგარეთ მივლინება რა ამბავია? უნივერსიტეტს ამდენი სამივლინებო თანხა აქვს?***

— მეც ვიცი, რომ აქვს. ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან ჩვენი სასწავლებლის საქმიანი ურთიერთობა. სამაგალითოდ მინდა დაგისახელოთ მიუნხენის უნივერსიტეტთან ჩვენი სამეცნიერო კონტაქტები. ეს გერმანული უნივერსიტეტი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტთა ათეულში შედის... ისე, **დღემუდამ საზღვარგარეთ „მოგზაურ“ ჩვენი ხელისუფლების და მათი თანამდევი ჟურნალისტებისთვის ნუთუ გასაკვირია რექტორის საქმიანი მივლინებები...**

***— ქალბატონო გუგული, აკადემიურმა საბჭომ ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრა მოითხოვა. ვერ მოასწარით?***

— რადგან პრეზიდენტი აქ არ იყო, ოფიციალური წერილით არც მიგვიმართავს. ჩვენ ეს სურვილი პრესაში გავახმიანეთ, მაგრამ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან არავინ არ გამოგვეხმაურებია.

***— თქვენი აზრით, მაინც რა ფორმის ზემოქმედება განახორციელეს რექტორზე? ამბობენ რამდენიმე „ცნობადი სახე“ მიუგზავნეს და წყნარად უთხრეს: თუ საკუთარი განცხადებით არ წახვალ, დაგიჭერთო!***

— კი, ნამდვილად ასე ამბობენ, მაგრამ ვიდრე კონკრეტულად არ გავიგებთ სინამდვილეს, ვერაფერს გეტყვით... გასაგები მიზეზების გამო გია ხუბუა არაფერს ამბობს. ისე, ხუბუა თუ ვინმეს ასახელებდა თავის მხარდამჭერთა და ხელისშემწყობთა შორის, ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო.

***— თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები, ხუბუას ხომ არ დაიჭერენ?***

— ელემენტარული კაცური სიტყვა და ზნეობა თუ არსებობს, არ უნდა დაიჭირონ, მე დარწმუნებული ვარ, რომ გია ხუბუას განცხადება თავის გადასარჩენად არ დაუწერია. უნივერსიტეტის რექტორი „რეფორმატორი“ ხელისუფლების დავალებათა კარგი შემსრულებელი იყო... უბრალოდ, შეთანხმდნენ და... განტევების ვაცივით გაწირეს!

* * *

**გია ხუბუას რექტორობის ოთხწლიანი ვადა წლის ბოლოს უმთავრდებოდა. აღარ დააცადეს! ახლა დიდი მითქმა-მოთქმაა ახალი რექტორის კანდიდატურაზე. მართლაც, საინტერესოა, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს ვის კანდიდატურას მოახვევენ თავს? ვინ ჩაჯდება პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის სავარძელში?**

**სპარტაკ ქოზულია**

### სულის ტკივილი

*დაცლილი სოფლები, გაძარცვული, გადამწვარი სახლები, გაუდაბნოებული ნასოფლარები, სადაც მამალიც კი არ ყივის. მხოლოდ მავანის ნაკვალევი ატყვია ჩვენივე ოფლით ნაშენებ სოფელს. შეუძლებელია ბოლომდე იმ ტკივილის გადმოცემა, რასაც თითოეული იქ გაზრდილი ადამიანი განვიცდით.*

*ყველას თვალებში უდიდესი სევდა და მწუხარებაა. შეუძლებელია უცრემლოდ ისაუბროს ადამიანმა, ვინც თუნდაც ერთი დღე გაატარა ჩვენს ლამაზ და სიცოცხლით სავსე მხარეში და ახლა ტკივილისგან დადუმებულა... შეიძლება ცოტა ეგოისტურად მოგეჩვენოთ, მაგრამ იქ სხვანაირად უყვარდათ, სხვანაირად მასპინძლობდნენ. ყველაფერს განსაკუთრებული სურნელება ჰქონდა, დღემდე თან დამსდევს ჩემს საძინებელში ბაღჩიდან შემოპარული ყვავილების მათრობელა სურნელი. ფუძის ჩიტების საამო ჟღურტულიც ყოველ დილას, რომ გვაღვიძებდნენ.*

*როცა წეროვანში ჩავდივარ, ხშირად ვხვდები ბაგრატ ბორცვაძეს, რადგან ჩვენი ოჯახის ახლობელია. ჩვენი შეხვედრა ყოველთვის ერედვში გატარებულ წლებზე საუბრით მთავრდება. სამწუხაროა, რომ ეს უკვე წარსულის ფურცლებს ეკუთვნის, საიდანაც მხოლოდ მოგონებებიღა შემოგვრჩა.*

*ბატონი ბაგრატის ტკივილი ჩემთვის კარგად ნაცნობია. ამიტომ მასთან ბოლო შეხვედრის ნაამბობი შევეცადე ფურცელზე გადმომეტანა და თქვენთვის გამეცნო, ძვირფასო მკითხველო...*

# „მე ლტოლვილობის დღე ლოცვაში უნდა გავლიო...

**„მე ლტოლვილობის დღე ლოცვაში უნდა გავლიო, ჩემთან იქნება, უძლურების ვინც იცის ფასი, ვინც ნოსტალგიის ოხვრით ხვდება ყველა ალიონს და მარტოობის ცრემლით სავსე დასცალა თასი.**

დიახ, მარტოობა შედეგია ლტოლვილობისა, ასეთი მდგომარეობით მეორედ ვხვდები ზაფხულს ჩემს სახლ-კარს მოცილებული. თვალწინ მიდგას სოფელში გატარებული ცხოვრება. ზაფხულში ოჯახს ვერ ნახავდით, რომ რამდენიმე დამსვენებელი არ ჰყოლოდათ. ყველას უყვარდა იქ დასვენება. ახალგაზრდების ჟრიამული ისმოდა დაღამებამდე...

დღეს ამ მხიარულ განწყობილებას მოკლებულია დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მოსახლეობა. ამ უბედურებაშია ჩავარდნილი ახალგორის მთელი ტერიტორიის მოსახლეობაც. გაიღვიძა ბოროტმა ძალამ. თავი იჩინა „ბარბარუსობისა“ და „ბარბაროსობის“ შეერთებით წარმოშობილმა ნაციონალურმა სიძულვილმა, რამაც ძირფესვიანად ამოთხარა საქართველოს გული – ქართლი. ეტაპობრივმა განადგურებამ მიწასთან გაასწორა ყველაფერი.

ქართლის თავზე გამოჩნდნენ სიკვდილის მაუწყებელი შავი თვითმფრინავები. მათ გამაყრუებელ ხმაურს მოჰყვა საშინელ აფეთქებათა და ნგრევის გრგვინვა; ინგრეოდა სახლები, ითხრებოდა გზები, იხოცებოდნენ ადამიანები. გავიდა 2-3 დღე და დაიწყო მეორე ეტაპი – დანგრევას გადარჩენილი სახლების გაძარცვა და შემდეგ – დაწვა. ესეც არ იკმარა „ბარბა-რუსობისა“ და „ბარბარ-ოსობის“ ნაშიერმა ნაციონალურმა სიძულვილმა და დაიწყო მესამე ეტაპი მოქმედებისა – ეს იყო აფეთქებას გადარჩენილი და დამწვარ-გაძარცული სახლების საძირკვლიანად ნგრევა. თითო უბნისათვის მიჩენილი იყო რამდენიმე ტრაქტორი-ბულდოზერი და მიწასთან ასწორებდა ყოველგვარ აშენებულს. გაჩნდა ე. წ. ნასახლარები და ნასოფლარები. იტვირთებოდა შემოძარცვული და გაპარტახებული ეზოების და ყოველგვარი დანადგარის რკინით სატვირთო მანქანები და იგზავნებოდა გაურკვეველი მიმართულებით. ამავე მეთოდს იყენებდნენ სოფელში უპატრონოდ მიტოვებული ყოველგვარი შინაური საქონლის მიმართ. იმასაც კი კისრულობდნენ, რომ სოფლის ცენტრს დაშორებული ადგილებიდან დიდი ტანის დაკლული ცხოველის გაუტყავებლად აჭრილი ბარკლისთვის მუხლთან გაყრილი ჯოხით მოათრევდნენ „ოფლად გაღვრილი ბიჭების“ სახელდახელოდ დასაპურებლად. ყოველივე ამას სამალავიდან ვხედავდი. ამ ყოფაში ვიყავი 21 აგვისტომდე.

დავრჩი იქ, რადგან შორს სიარული არ შემეძლო და ვერ გამოვასწარი ამ უბედურებას.



როცა ჩემს სახლს ცეცხლი წაუკიდეს, სახლის უკან გაუვალ ბუჩქებსა და ეკალბარდებში ვიმალებოდით მე, ჩემი მეუღლე და მეზობლის ქალი. იწვოდა ჩემი სახლი, რომელსაც სამი წელიწადი ვაშენებდი. სულ მე ვიყავი ქვის მთლელიც, კირითხუროც, კვერითხუროც, შემდუღებელიც და მღებავიც. ზოგ რამეში მეხმარებოდა მეუღლე.მუშას ვერ ვქირაობდი, რადგან პროფესიით პედაგოგები ვიყავით და ხელფასი ნაკლები გვქონდა.

დაიწვა ყოველი ოჯახური შენაძენი, დაიწვა ყველა საბუთი განათლებისა თუ პედაგოგიური სტაჟისა. დაიწვა შემოქმედებითი რალაცეები ( ცოტა რამ ლირიკულიც და პროზაულიცძ, მაგრამ ყველაზე გულდასაწყვეტი ის არის, რომ დაიწვა და ერთიანად განადგურდა მოსწავლეობის დროიდან რუდუნებით შექმნილი ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავდა 3000ზე მეტ ეგზემპლარს (ჩამოთვლა შეუძლებელიაძ. დაიფერფლა პერიოდული გამოცემები: ჟურნალები, როგორც სასკოლო, ისე მხატვრულ-ლიტერატურული...

ნაციონალურმა სიძულვილმა იმსხვერპლა უფროსი შვილი რუსეთში, ახლა იმისი შვილები ბედის ამარა არიან დარჩენილნი, ვერც მეორე შვილი გადაურჩა ამ უბედურებას. როგორც სხვები, ისიც წამოვიდა სოფლიდან თბილისში, მაგრამ სოფელ ქიწნისის გადასახვევთან შეხვდა შეიარაღებულ ბანდას და იქ მოკლეს., დარჩა ობლად მისი ცოლ-შვილიც.

მესამე შვილიც ვერ ასცდა უბედურებას. სოფელ ბერულასთან, დიცის ჩასახვევში, წამოეწია ჯავშანმანქანა, უთქმელად ჩასვეს შიგ და წაიყვანეს უცნობი მიმართულებით. აღმოჩნდა ცხინვალში. იქ სადღაც სარდაფში გაატარა 21 დღე, საკვებად თურმე აძლევდნენ გვერდებგამომპალ რაღაც ხილის მსგავსს. იქ აწამებდნენ და ექცეოდნენ არადამიანურად. ალაგ-ალაგ ჰქონდა დამწვრობა, თმები – ამოგლეჯილი, ფეხისგულები – დამწვარი, ტანი – აჭრელებული. ბოლოს ცნობიერებადაკარგული უცვნია თავისი სკოლის ამხანაგს, ქართველს – ოსზე გათხოვილს. მისი თხოვნით და დახმარებით წითელი ჯვრის დამხმარე ჯგუფმა გამოიყვანა და ჩააბარა თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ამჟამად მე და ჩემი მეუღლე ჟუჟუნა სოსიაშვილი, დაუძლურებულნი და მოძრაობის უნარმოკლებულნი, ასევე ჯანმრთელობას მოკლებულ შვილთან ერთად ვცხოვრობთ წეროვანის დასახლებაში ლტოლვილებად. საცხოვრებელდაკარგულნი წელს მეორედ ვხვდებით აღდგომის დღესასწაულს „უცხოობაში“. ყოველდღე გვენატრება ჩვენი ბუდე – სახლკარი, ჩვენი სოფლის გარიჟრაჟი, მოკრიალებული ცა, მთვარიანი ღამე და ლამაზი დაისი, მზის ჩასვლისას შოშიების ანსამბლს კონცერტი რომ გაუმართავთ...

**სალოცავების მფარველობა**
**და მადლი მიცავს,**
**ღმერთო, ძლიერო, გადმომხედე,**
**მომეცი ბედი,**
**სიკვდილის შემდეგ მივებარო**
**მშობლიურ მიწას,**
**მე ამის გარდა სანატრელი არა**
**მაქვს მეტი!!!“**

**თინათინ ბორცვაძე**

### გზად მომავლისკენ

# ქართველ ხალხს ეროვნული წიაღიდან ამოზრდილი ლიდერები სჭირდება

**ვერ დავიჯერებ, რომ პოლიტიკა აუცილებლად ბინძური უნდა იყოს. არც ის მჯერა, რომ ყველა პოლიტიკოსი ნაძირალაა. მიუხედავად ამისა, არც პოლიტიკა მიტაცებს და არც პოლიტიკოსობა. მე ნორმალური ადამიანური ცხოვრების პრეტენზია მაქვს და მტკივნეულად განვიცდი, როცა მწარედ მატყუებენ და თანაც დამცინიან.**

იყო დრო, როცა იმპერიული მონსტრის სიკვდილზე ოცნებაც არ შეიძლებოდა და, მაშასადამე, არ შეიძლებოდა ოცნება თავისუფალ საქართველოზეც.

მოხდა სასწაული – მონსტრი მოკვდა. იმის ნაცვლად, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება და ქვეყნის კეთილმოწყობა გვახარებდეს, სახელმწიფო ჰიმნს ლოცვასავით ვიმეორებდით, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გალატაკდა, ამიტომ იყო, რომ ოპოზიციის პირველივე დაძახილზე ხალხი ქუჩაში გავიდა, მაგრამ ოპოზიციისვე გაუგებარი და გაუაზრებელი ქმედების გამო, უფრო მეტ გასაჭირში ჩავარდა. არაპროგნოზირებადია, რას ჩაიდენს ეს ხალხი გამოფხიზლების შემთხვევაში ან რა ღირებულების სუბიექტები შეეცდებიან მათი უარყოფითი რეაქციის თავიანთ სასარგებლოდ წარმართვას. ამ გზით სვლა სახიფათოა. ასე დემოკრატიულ ქვეყნად კი არა, საერთოდ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერსპექტივაც კი სათუო გახდება. ამიტომ ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობად ვთვლი ხმა ავიმაღლო, რა თქმა უნდა, გარკვეული რისკის ფასად.

პარადოქსია – მთავრობა სისტემატურად თავს იწონებს გატარებული „რეფორმებით“, საზოგადოების დიდი ნაწილი კი ერთხმად აღიარებს: სასამართლო აღარ არსებობს, განათლების სისტემა მთლიანად მოშლილია, მოსახლეობის მეტ ნაწილს მკურნალობის საშუალება აღარ აქვს. მოსამართლეებმა ირწმუნეს, რომ კანონსაწინააღმდეგო განჩინებისთვის მათ პასუხს არავინ მოსთხოვს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებს ბუნდოვან და გაუმართავ სახელმძღვანელოებს აწვდის. საჯარო სკოლებში ქართული ენა, როგორც სასწავლო დისციპლინა, დაკნინდა. მასწავლებლების უდიდესი ნაწილი გაოგნებული მიჰყვება დინებას. ეჭვს გარეშეა, რომ საზოგადოების უკმაყოფილების ლომის წილი აქედან მოდის.



ნაცვლად იმისა, რომ გაანალიზდეს და საზოგადოების ფართო წრისთვის ცნობილი გახდეს მოსამართლეებისა და პროკურორების მიერ სამართალდარღვევათა ყველა ფაქტი, ოპოზიციისგან საზოგადოებას და მსოფლიოს სისტემატურად ერთი და იგივე, სულ სამი თუ ოთხი, უხეში სამართალდარღვევის შესახებ ესმის, თითქოს ცუდი სხვა აღარაფერი ხდება. მაშინ, როცა ქვეყანაში სასამართლო საერთოდ არ არსებობს, ოპოზიცია თავისუფალ სასამართლოს ითხოვს.

საქართველოში ჩემთვის (და არა მარტო ჩემთვისძ ბევრი რამაა გაუგებარი. მხოლოდ რამდენიმე, ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო, კითხვით შემოვიფარგლები:

მაშინ, როდესაც საქართველოში კვალიფიციური კადრები უხვადაა, რატომ აღმოჩნდა ქვეყნის ბედი დილეტანტებისა და კრიმინალების ხელში?

რატომ ჩაბნელდა საქართველო დამოუკიდებლობის დღიდანვე, როცა ყველა ჩვენი მეზობელი ქვეყანა ელექტროენერგიას იმაზე იაფად ყიდდა, ვიდრე ჩვენ შეგვეძლო გადახდა? რატომ არის დღეს ჩვენთან ყველაზე ძვირი ელექტროენერგია? ეს მაშინ, როცა ჩვენს ჰიდრორესურსებს მრავალი ქვეყანა ნატრობს?

რა მონაცემებს ეყრდნობოდა ვაუჩერის ღირებულების განსაზღვრა? რატომ არ მოხდა კოლმეურნეობების ქონების მათ პატრონებზე გადანაწილება?

რატომ შეცვალეს 60 წელს გადაცილებული მთავრობა 30 წელს არმიღწეულმა ე. წ. თინეიჯერებმა? ამით ხომ საზოგადოების პერმანენტული განვითარების ბუნებრივი კანონი დაირღვა?

რატომ ურიგებს გალატაკებული ქვეყნის პრეზიდენტი თავის ჩინოვნიკებსა და დეპუტატებს განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელ ხელფასებს? რატომ უწოდებს „მაგარი მიშა“ განათლების სისტემის ნგრევასა და აბურად აგდებას წარმატებულ რეფორმას? ხალხისთვის მიუწვდომელია საავადმყოფო და წამალი, განადგურდა მეცნიერებისა და განათლების საუკეთესო კერები და ა. შ.

მსგავსი კითხვები უამრავია, მაგრამ ვინაა პასუხის გამცემი?! არადა, ჩვენ ჩვენივე შეცდომებზე მაინც რომ ვსწავლობდეთ, ანალოგიურ კითხვებზე პასუხის ძებნით უფრო უნდა ვიყოთ დაკავებული, ვიდრე „მიდიმოვდივარის“ ძახილით.

ულირსის მხილება არასოდეს ყოფილა საძრახისი, პირიქით, მანკიერების დაფარვა იყო სირცხვილი და თავის მოჭრა. დღეს რა დაგვემართა? ერთმანეთს კი აკრიტიკებენ, მაგრამ ზოგადად. ისევ ოპოზიციონერები გაიძახიან: „ამ საქმეში ოპოზიციამ ფული აიღოო“, კონკრეტულად ვინ, ამას არავინ ამბობს.

იხ. 6 გვ.

## ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

# ცხელი ზაფხულის გრილი ამბები

## ანკარას გაუმარჯოს

**პაპანაქება სიცხეში ხუთიოდე კილომეტრი, ალბათ, მეტიც ფეხდაფეხ გამოვიარე. ხეობის სიღრმეში მოჩანჩქარე მდინარის ნაპირას ერთი გოგირდის აბანოა, ძველი ფიცრულით ნაგები, შიგნითაც მოუწყობელი, მაგრამ აუზში წყალია სასწაულმოქმედი, მკვდარს რომ გააცოცხლებს, ჰოდა...**

მანძილი მართლაც დიდია, გზაც, თუმცა მოხრეშილი, აღმართ-დაღმართიანი, ორივე მხარეს ცადაზიდული მთები... თავიდან გამიჭირდა, მერე და მერე კი სიმღერა-საგალობლები შემომეშველნენ. მართალია, სმენა არ მაქვს, ყრუ ხარო, მიმტკიცებენ, ხმაც არ მივარგა, მაგრამ მამაპაპური ჰანგები სულში ისე ლაღად ხმიანობს, ის კი არა, გეგონება, თავში მიკრორადიო მქონდეს, მუსიკალურ ტალღაზე გადართული. კი, შიგადაშიგ ქვეყნის ჭირვარამიც გახმიანდება, დავიბოღმები თუ არა, უხილავი სკივრიდან ლამის საუკუნისწინანდელი, სკოლაში ნასწავლი ლექსი, თანაც თითქოსდა სამუდამოდ გამქრალი, ისე ამოშრიალდება, კილომეტრებს ისე გამომატარებს, ვერც კი ვგებულობ. ამჯერადაც ასე სიმღერ-სიმღერით მივჩიქჩიქებდი.

– მეზობელო, თუ ძალიან არ გეჩქარებათ... – აქაურობისათვის ჩვეულებრივი ტრადიციული ეზო-კარის ჭიშკართან ახოვანი, უცნაურად ჭაღარა მასპინძელი სალამს მახვედრებს, – რაღაც ასაწევი მაქვს და...

– რაზეა, ბატონო, ლაპარაკი! – გავიქაჩე მეც.

ამ სოფელში არცთუ დიდი ხნის წინათ შევიძინე თითქმის ასეთივე ეზო-კარი, სახლიც ეგეთი, ოთახებში ცხენი გაჭენდებაო, რომ იტყვიან. ასე რომ, მეზობლები გვეთქმის. ისე კი სჯობდა, ჩემ მაგიერ, ვინც იქაურობა ააშენა, მის ნაშიერს ეპატრონა. ჭიშკარში რომ შევაბიჯე, ხელჩანთის იქვე, ბოძზე ჩამოკიდება დავაპირე. არ დამანება, აქეთ, ბატონო, ეგერ სკამზე ჩამოვდოთო. მარჯვნივ, ეზოს სიღრმეში მწვანედ მობიბინე უშველებელი ტოტებზორჯღალა ჭადარი რომ იდგა, იქეთ გამიძღვა.

– აი აქ დაბრძანდით, ბატონო!

მასიური ხის გრძელ მაგიდასთან ერთ-ერთ ძელსკამზე მიმითითა.

– აკი ისაო?.. – შევცბი, მივხვდი შემიტყუა. კი მეუბნებოდნენ, პურმარილის კაციაო, სახელიც ვახტანგი, ისე ლაზათიანად აქვს მორგებული, მეორეს იშვიათად შეხვდები მინამგვანს.

– დედაკაცო, – მასპინძელი პირველი სართულის ღია კარისკენ მიბრუნდა და შესძახა, – ერთი შენებურად ტაბლა გაგვიეშხიანე.

მერე წინ დამიჯდა, საუბარი კლიმატის უცნაურობაზე ჩამოაგდო, ჰოდა შევყევით. მე კი ჩუმჩუმად ვათვალიერებ, ასე ახლოს ჯერ არ შევხვედრივარ, რაღაცნაირად მიზიდავს მისი თმების სითეთრე. მინდა გავეხუმრო, ალბათ მყინვარწვერსაც შეშურდება-მეთქი. არადა, ულვაში და ჯერ კიდევ გაუპარსავი წვერი ისევ შავი აქვს. თვალი ეზოს მიღმა გავაპარე: მტკვრის ატეხილი ჭალები, აქოჩრილი ტალღები მღვრიედან რომ ამოჩქეფდა, მწვანით შემოქობილი... სხვა რაღა უნდა იყოს ეს სამოთხე?

მალე დიასახლისიც გამოფოფინდა, დატვირთული ხონჩით, მაგიდა გაამშვენა.

– ბავშვები ზღვაზე მამიდას გაჰყვნენ, ბებრები შევრჩით ერთმანეთს. – შესავალი ბუნებრივი გამოვიდა. ამასობაში ყველი, პური, ლობიო და მწვანილი, ერთი სიტყვით, ყველაფერი მოვიდა. თვითონ მასპინძელი დინჯად წამოდგა, სახლს მეორე მხრიდან მოუარა, ცოტა ხანში მოზრდილი დოქით გამოჩნდა, თან მეუღლეს დააწია, ლიკა, იქ, მარანში, შავი დედალი ფეხზე შემომებლანდა, თავი გავაგდებინე და აწი შენი იცი...

ძველებური ჭიქა ოდნავ მოწითალო, უფრო შვინდისფერი კამკამა სითხით ივსებოდა, შესმამდეც კი სულში მზედ რომ იღვრებოდა. დალევ და ძარღვებში თბილ ცეცხლად გატკბება.

– ბატონო ვახტანგ, – ნუნუამ თავისი რომ ქნა, კითხვა, რომელიც ჭიასავით შემიძვრა, უნებლიედ დავუსვი, – იმედია არ მიწყენთ, არადა, დიდი ხანია მინდა გკითხოთ. ჭაღარა მინახავს, მაგრამ თქვენ რომ თეთრი თმა გაქვთ... ეგ ულვაშები და წვერიც ხომ ერთთავად შავია. არ მითხრათ ახლა, თავი მათზე ადრე დაიბადაო, – ჩემი ჭკუით, ხუმრობა უხერხულობის გასაფანტად ჩავუფინე.

– სულ ეგაა? მხრებში გაიშალა, ხორბლისფერ სახეზე მსუბუქმა ღიმილმა გადაუფრინა, როგორღაც იჭვნეულად შემომხედა, – მერედა, შენც რომ არ დამიჯერო?!

– აბა ჩვენი ხნის ადამიანს ტყუილიც დაეჯერებაო?!

ვახტანგმა ამოისუნთქა, მჭადი გატეხა, ლობიოში ამოავლო, მერე პრასი და ყველი მიატანა, რატომღაც ზოზინობდა, ბოლოს თავისი ადლიანი ხელი დოქს მსუქან მუცელზე შემოუწვდინა და დაასხა.

– ამ ჭიქით ანკარას გაუმარჯოს, თურქეთისას კი არა, ჩვენებურ ბრტყელთავას, ოქროსფერკანიანს და ბლაგვკუდას.

ლამის სკამზე შევხტი. სუფრა, მე რომ მინახავს, ან ოქროპირი თამადებისა მომისმენია, თვითონაც ხომ თავს ვიწონებდი ტოლიბაშობით, მაგრამ მსგავსი სადღეგრძელო არ მომისმენია.

– შენ მკითხე და... – ჩაეღიმა მასპინძელს.

ჩემი შეცბუნება რას გამოეპარებოდა, როგორღაც ჩაიხვიხვინა, წარბები ასწია, თან ჯერ ისევ სველ დოქისპირს გახედა.

– იმ დღეს ვენახში ადრიანად წავედი, ხომ იცი, ვაზს რა ჯაფა სჭირდება. ლამის წელში გაწყვეტილმა ნაშუადღევს შესვენება დავაპირე და კაკლის ხის ძირში, ადრინდელ ნათიბ ბალახ-ბულახზე წამოვგორდი. დაღლილს თვალები მალევე დამიმძიმდა. ვერც კი გავიგე, ისე ჩამძინებია. მგონი სიზმარიც არ მინახავს. მარცხენა მკლავი განზე მქონდა გადაგდებული. ძილბურანში მყოფი რაღაც სველი სლიპინა სხეულის შეხებამ გამომაღვიძა. ცალი თვალი გავახილე და სხეულში დამძაგრა. ბრტყელთავა ანკარა თავის ბრტყელ თავს გამეტებით მირტყამდა. მერე წამით შეყოვნდა, როგორღაც მომაჩერდა, თითქოს რაღაცას მანიშნებსო. ეგრევე წამოვხტი. აბა წარმოიდგინე, ნამძინარევი და ეგეთი რამ, მისმა თავხედობამ გამაცოფა, იქვე ბარს დავწვდი და შევმართე, რომ თავი გამეგდებინებინა. უცებ ზურგსუკან რაღაც ხმელი ფიჩხის მტვრევის ხმამ, ბალახის უცნაურმა შრიალმა და უფრო ავმა სისინმა მიმახედა. აბა ეგ იყო, რაც იყო: უშველებელი, ბარის ტარზე ბევრად გრძელი, ხორკლიანი, შუბის ბუნიკივით მაღლა თავაწეული, წითელეწნაგადმოგდებული, გავეშებული გველი ჩემსკენ მოიწევდა. არ მახსოვს, ბარი ხელიდან როდის გამივარდა, ბედად უმალ ისიც კი დაფრთხა, თავი განზე გააქნია და გვერდზე გასრიალდა. გონი რომ მოვიკრიბე, ბარს ხელახლა დავწვდი, მაგრამ გვიანი იყო. მერე ბიჭებმა, გიურზა იქნებოდა, წითელ წიგნშია შეტანილი და რომ მოგვეკლა, დაგიჭერდნენო. ხევის პირას მაყვალთან მაინც მივასწარი, დავკარ და ასხმარტალებული კუდი გავაგდებინე, მაგრამ ჩემი დამემართა და...

– ჰო, ასეა, – გამეღიმა, – წითელ წიგნში მგელიცაა შეტანილი და იმ ჩვენებურმა წითურმა ცხვარ-საქონელს შიგადაშიგ პატრონებიც რომ მიაყოლა?! ხელისუფლებას მაინც მგელი ურჩევნია, როგორც ჩანს...

– მერე ის იყო, ლამის დანგრეული შინ რომ დავბრუნდი, აი, ცირკიც იქ დამხვდა, – ჩაიხითხითა და ულვაშზე ხელი მოისვა, – ჭიშკარი შევაღე თუ არა, ცოლმა გამოიხედა. დგას და თვალებგაფართოებული მიყურებს. მერე იკივლა და რა იკივლა:

– ვახტანგია, შე უბედურო, შინიდან თმაყორანა გაგიშვი, ეგ რა დაგმართნია!

მესამე დღეს დიდი მიწისძვრა მოხდა სამცხე-ჯავახეთში. ამბობენ, გველები ადრე გრძნობენ და მაშინ გამოდიან ბუნაგებიდან. ალბათ ის ბებერი ურჩხულიც ამ სტიქიის პირველი მაცნე იყო.

– მერე ის ანკარა?

– აბა რა გითხრა, არც კი გამხსენებია. ისე კი, ხომ გადამარჩინა, დიდი საფიქრალიც გამიჩინა, გველივით ბრძენიო... ჰოდა ახლა ეს სადღეგრძელოც ამად ვთქვი. ამქვეყნად უფლის ნების გარეშე არაფერი ხდება, ბატონო.

დიდხანს ვდუმდი. მასპინძელს თვალი ავარიდე და ჩემს ჭიქაში ფსკერიდან თითო-თითოდ ამომავალ ბუშტუკებს დავუწყე თითქოს თვლა.

– ანკარა და გველი თქვი შენ, აი, ჩვენ რომ პირველი კაცი გვყავს, ის არ გვინდობს და იმ ცხოველმა კი...

– კი, ნამდვილად გადამარჩინა! – გულიანად ამოთქვა. როგორღაც შეიმშუშნა. – ისე, რა ხართ ეს მოკალმენი, თუ ხელში ქოთანი ჩაგივარდათ, ყურს საითაც გინდათ, იქით მოაბამთ. ისე, ეგ ხელისუფლება რომ...

ანაზდად გრიგალი ამობუხუნდა, ხეობას დაუარა, გვალვისგან შემჭკნარი ფოთლები მაგიდაზე ჩამოგვიყარა. თავი რომ ავწიე, მტკვარგაღმა, ორკუზიან აქლემს რომ მივამსგავსე, ის მთა ისე აიჯაგრა, ის კი არა, მის უკან და წინაც, გაღმითაც და გამოღმითაც მთები ქარავანივით ჩადგნენ. თითქოს ფეხი აიდგეს, დაიძრნენ და სადღაც სამხრეთისკენ თან გაიყოლეს მარადი, შეუცნობი სამყარო.

– ეგ ცხოვრებაა, ჩემო ძმაო? – ქარი რომ შენელდა და მაგიდა მოვაწესრიგეთ, სიტყვა გავაგრძელე, – ის, რაც დღეს ხდება, სხვაგვარ ახსნას ვერ პოულობს. აი, ხომ ხედავ, ბუნებამაც კვერი დაგვიკრა. შენს თმას რომ არ ვუყურებდე, მეც სიზმარი მეგონებოდა. იქნებ წინათგრძნობაც კია, გველი ხვლიკი არაა, კუდი გააგდებინო და მეორე ამოუვიდეს, ვინ იცის...

– აბა რა ვიცი, ბევრი საფიქრალი კი გამიჩინა და...

ამასობაში მეორე პირი ქარი, უფრო ძლიერი და მტვრიანი ამოგრიალდა და საწვიმარი ღრუბლების შავი ქარავანიც თან მოიყოლა.

იხ. 7 გვ.

## ინფორმაცია

### რუსეთს ხანძრის შემდეგ ქარიშხალმა გადაუარა

**ქარიშხლის შედეგად, სანკტ-პეტერბურგში, ნოვგოროდის, არხანგელსკის და ვოლგოგრადის მხარეებში მთლიანობაში ათას ხუთასი პუნქტი დაზარალდა, სადაც 93 ათას 841 ადამიანი ცხოვრობდა.**

**სოცილური დანიშნულების ობიექტებს ელექტროენერგია სარეზერვო ხაზებით მიეწოდება. დაზარალებულ რეგიონებში სამშენებლო ბრიგადები უკვე მუშაობენ, რათა დროულად მოახდინონ დაზარალებულთა სახლების აღდგენა-შეკეთება.**

**რუსეთის პრემიერ-მინისტრთან ზარალის დამდგენი სახელმწიფო კომისიის სხდომა უკვე შედგა, სადაც ზარალის ლიკვიდაციის გზები განიხილეს.**

**კომისის სხდომაზე გადაწყდა, რომ საგანგებო შტაბები შეიქმნება.**

**ასეთი შტაბები უნდა შეიქმნას რეგიონებში, სადაც პროგნოზის მიხედვით ცივი ფრონტი გაივლის, ეს არის მოსკოვის ვლადიმირის, ირანოვსკისა და ნიჟნინოვგოროდის მხარეები. შტაბებს მიმდინარე ამოცანების გარდა დაეკისრებათ აცივების შედეგების მინიმალიზირება.**

**იმავდროულად ჯანდაცვისა და სოციალური განვითარების სამინისტროს დაევალა დაზარალებულების მიღება მთელი დღე-ღამის განმავლობაში მოახდინოს და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მათ.**

### ქარბორბალას ბუნგალო შეეწირა

**გონიოში ღამით უეცრად მოვარდნილმა ქარბორბალამ ერთ-ერთი ბუნგალო მთლიანად გაანადგურა. დაზიანებულია ბუნგალოს ინვენტარი, მაგიდები, სკამები, აგრეთვე ათამდე მაცივარი.**

**გონიოში ზღვის სანაპიროზე ქარბორბალა ბუნგალოს ადმინისტრაციის წევრებმა შენიშნეს და უსაფრთხოების მიზნით ობიექტი რამდენიმე წუთში დატოვეს. იმ დროს ბუნგალოს თანამშრომლების გარდა იქ დამსვენებლებიც იმყოფებოდნენ.**

**ბუნგალო მამუკა ცინცაძეს ეკუთვნოდა. ზარალის ზუსტი ოდენობა ჯერ დათვლილი არ არის. ქარბორბალამ ამავე ობიექტის გვერდით მდებარე კიდევ ერთ ბუნგალოს სახურავი გადახადა და გზაზე გაჩერებული ავტომობილიც დააზიანა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## გვეხმაურებიან...

# იქნებ ალბომი გამოგვეცა?

**ახლახან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ვილენ მარდალეიშვილის საგულისხმო წერილი გურულ ცხენოსნებზე, რომლებიც ამერიკაში საჩვენებელ გამოსვლებს აწყობდნენ მე-20 საუკუნის 10-იან წლებში.**

როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო მასალებია დაცული თბილისში კარგარეთელის ქუჩაზე მდებარე თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში და ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამ ფაქტთან დაკავშირებით კინორეჟისორ ირაკლი მახარაძეს გადაუღია დოკუმენტური ფილმი.

აღნიშნული წერილის წაკითხვამ გამახსენა ერთი ფაქტი: ისტორიკოსმა ამირან ცამციშვილმა 50 წლის წინათ გაზეთ „ლელოში“ გამოაქვეყნა წერილების სერია ამერიკაში გურული ცხენოსნების გამოსვლის შესახებ. მაშინ აწ გარდაცვლილი ეს პროფესორი მუშაობდა ქართული სპორტის ისტორიაზე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მან 1960 წელს დაბეჭდა საინტერესო ბროშურა „ფეხბურთი საქართველოში“. რაც შეეხება მის მიერ გურულ ცხენოსნებთან დაკავშირებით შეგროვებულ ფოტოსურათებს, იგი დღეს ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ახალი ისტორიის შემსწავლელი განყოფილების ფონდში. სიძველეთსაცავებში დაცული წერილებისა და ფოტოსურათების გაცნობისა და დამუშავების შედეგად, შეიძლება საინტერესო ალბომის მომზადება, რაც, ჩვენი აზრით, სწორედ თეატრის, კინოს, ქორეოგრაფიისა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმმა უნდა განახორციელოს.

**დურმიშხან ცინცაძე**



გურული მხედრების ბედი და გერმანელი პრინცის სიყვარულის ამბავი

◉ გზად მომავლისკენ

# ქართველ ხალხს ეროვნული წიაღიდან ამოზრდილი ლიდერები სჭირდება

(მეოთხე გვერდიდან)

ყოფილი პარლამენტარი ღია ეთერიდან გვიცხადებს: არარეგალურ საროსკიპოში საკმაოდ დიდი თანამდებობის პირები დადიან, ჩემი თვალით მაქვს ნანახიო და ვინ არის, ამას არავის ამბობს. ასეთი განცხადებების შემდეგ რიგითმა მოქალაქეებმა როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან კეთილსინდისიერი და ნაძირალა?

განათლების სისტემის საბოლოოდ განადგურებამ და ამ მიმართულებით სამართლის ძიებაში წარმოუდგენელი უსამართლობების ხილვამ კომუნისტების დროს გამომუშავებული შეგუების იმუნიტეტი დამაკარგვინა.

ოპოზიციის მიერ ვადამდელი არჩევნების ჩატარების მოთხოვნებმა და 7 ნოემბრისწინა მიტინგებმა მძიმე ეჭვები აღმიძრა. გადავწყვიტე, დეტალურად გავცნობოდი ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას, ჩამეხედა მიმდინარე პროცესებში. ამიტომაც, არჩევნების შიდა სამზარეულოს გაცნობის მიზნით კენჭი ვიყარე 21 მაისის უზენაესი საბჭოს არჩევნების მაჟორიტარ კანდიდატად.

დაკვირვების შედეგი სავალალოა. დავრწმუნდი, რომ ქვეყანაში არჩევნების კანონის შესაბამისად ჩატარების არავითარი შანსი დღეს არ არსებობს და სერიოზულად არც არავინ იბრძვის მისთვის. ჩემი შეხედულებით, ვადამდელ არჩევნებს ითხოვენ ან გამოუცდელი, ან დაინტერესებული სუბიექტები, რომლებიც „ნახირის“ ხარჯზე კარგად ცხოვრებას ისე დაეჩვივნენ, სხვანაირად აღარ შეუძლიათ. ასე რომ, ოპოზიციას არჩევნებში გამარჯვების შანსი არც აქამდე ჰქონია და არც ახლა აქვს.



არჩევნები ყოველთვიურად რომ ჩატარდეს, ოპოზიცია იმდენ ხმას მიიღებს, რამდენსაც ხელისუფლება უბოძებს. ამიტომ ამ ხელისუფლების ხელში არჩევნები უდრის უტოპიურ კომუნიზმს. ასეთი შეხედულება შემექმნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არჩევნებში მონაწილე სუბიექტს „კვალიფიციური“ ან „არაკვალიფიციური“ ეწოდება წინა არჩევნებში მოპოვებული შედეგის მიხედვით. ამავე კოდექსის ძალით, თუ კვალიფიციურ სუბიექტს საზოგადოებრივი ტელემაუწყებლობის ყოველ 3 საათში ეძლევა (1.5 წუთიძ უფასო საეთერო დრო, არაკვალიფიციურმა იმავე დროში საკმაოდ დიდი თანხა უნდა გადაიხადოს. მაგალითად, აჭარის საზოგადოებრივმა ტელევიზიამ 1.5 წუთში 2225 ლარი მომთხოვა. ასე რომ, აღნიშნული საარჩევნო კოდექსი პოზიციამ და პარლამენტში მოხვედრილმა „ოპოზიციამ“ თვიანთ თავებზე ისე კარგად მოირგეს, რომ ამომრჩეველს შეცდომის გასწორების უფლება ჩამოართვეს.

ქვეყნის საარჩევნო უბნების რაოდენობის გათვალისწინებით, არჩევნებში მონაწილე სუბიექტს მინიმუმ 40 000 კვალიფიციური, პატიოსანი და ერთგული საარჩევნო საქმის სპეციალისტი უნდა ჰყავდეს. ამ ადამიანებს უნდა შეეძლოთ გაყალბების ყოველი ახალი მეთოდის როგორც მიგნება, ისე აღკვეთაც. ასეთ კადრებს მომზადება სჭირდება, მომზადებას კი — დრო და ფული. მკითხველი ადვილად მიხვდება, შეიძლებოდა თუ არა ნაციონალების გარდა არჩევნებში მონაწილე სხვა რომელიმე სუბიექტს ამ რაოდენობის სპეციალისტი ჰყოლოდა. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო უბნის კომისიის წევრებად სკოლის მოსწავლეებიც კი იყვნენ წარდგენილნი. სწორედ ამ მიზნით ხელისუფლებამ მოსწავლეებს ნაადრევად დაურიგა პირადობის მოწმობები. ამავე არჩევნებზე ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაში ერთი მილიონი ლარი დაიხარჯა. მაინტერესებს, მაინტერესებს, ამ თანხიდან ვინ რამდენი და რატომ ერგო? ეს არის წყალში გადაყრილი საბიუჯეტო თანხები, რომელთა ნაწილიც მთავრობის სატელიტმა პარტიებმა ჩაიჯიბეს. ეს საქმე ქვეყანაში სახელმწიფო რეესტრმა უნდა გააკეთოს. ასე რომ, თუ ხელისუფლებას სიების გადამოწმება-დაზუსტება მოუნდება, ამას უმოკლეს დროში მოახერხებს, ოპოზიციას კი ამისათვის წლები დასჭირდება და ვერც შეძლებს. რაც შეეხება ხსენებულ მილიონ ლარს, არსებითად იგი არჩევნებისთვის მთავრობამ ქრისტიან-დემოკრატებს აჩუქა.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში 2 და მეტი სუბიექტის მონაწილეობისას უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კანდიდატთა ღია დებატებს. მოქმედი პრეზიდენტი კი გაურბის ოპონენტებთან დიალოგს. თანაც ხალხი აღარ ახსოვს. დაავიწყდა, რომ ათიათასობით პენსიონერის ანაბრები მისი გადასახდელია. თავად კი კონფორმიზმის ჭაობში ჩაეფლო.

დღევანდელი სამხრივი (ხელისუფლება-ოპოზიცია-საზოგადოებაძ უნდობლობის პირობებში აუცილებელია გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენები დაილუქოს არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტის ნდობით აღჭურვილი პირების მიერ, ამ ბიულეტენების გადამოწმება ნებისმიერ დროს არ უნდა იყოს პრობლემა, რაც ხელისუფლებას ხელს არ აძლევს და ამას არც დაუშვებს. ყოველი არჩევნების წინ ხელისუფლება-ოპოზიციის გარდა, საზოგადოებრივმა ტელეარხებმა გარკვეული უფასო საეთერო დრო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებსაც უნდა გამოუყონ. დაუყოვნებლივ უნდა გამკაცრდეს და ამოქმედდეს კანონი არჩევნების შედეგების გამყალბებლების მიმართ. არჩევნების შედეგების გაყალბება ადამიანის უფლების ყველაზე დიდ დარღვევად უნდა ჩაითვალოს. არც კი მსმენია არჩევნების გამყალბებელი ოდესმე დაესაჯოთ. იმისათვის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ თავი იგრძნოს ბედნიერად, შეიყვაროს თავისი ქვეყანა, სულ ცოტა რამაა საჭირო — მას უნდა ჰქონდეს უფლება, აირჩიოს ან არ აირჩიოს მისთვის სასურველი კანდიდატი.

ამისათვის კი უბრალო რამ — კეთილი ნება — არის საჭირო, რაც ჩვენს ხელისუფლებასა და მმართველ პარტიას არ გააჩნიათ. ჩინოვნიკები უსაზღვროდ გამდიდრდნენ, თანაც მოკლე დროში, ხალხი კი შიმშილისაგან იტანჯება.

დღეს ხელისუფლების ოპოზიცია ქართველი ხალხია და არა მთავრობის მიერ მოსყიდული პოლიტიკური პარტიები. დასანანია, რომ გენიოსების წარმომშობ ქვეყანაში დღეს ხალხს არ ჰყავს თავისი ეროვნული წიაღიდან ამოზრდილი ლიდერი, რომელიც ხალხის ტკივილით იცხოვრებს და თავის სიცოცხლეს მიიტანს ქვეყნის ინტერესების სამსხვერპლოზე.

**აკაკი ციბაძე,**
„ქართული აკადემიის“
აჭარის წარმომადგენლობის სათათბიროს წევრი

◉ ინფორმაცია

## ჩუმლაყელებს უწყლობა ახრჩობთ

შინაგან საქმეთა გურჯაანის სამმართველოს თანამშრომლებმა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში გამართული აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ოთარ მირიანაშვილი დააკავეს, პოლიციამ მირიანაშვილს მოსთხოვა, საპროტესტო აქციები არ გამართოს, „წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ შესაბამის ზომებს მიიღებენ.

მირიანაშვილი ამ დროისთვის უკვე გაათავისუფლეს.— სასმელი წყალი არ გვაქვს და ხმაც არ ამოვიღოთ? ხალხს ნუ აბუნტებო, გამაფრთხილეს. მერე გადარეკეს, გადმორეკეს და ახლა სახლში ვარ, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ოთარ მირიანაშვილმა. შს გურჯაანის სამმართველოში ოთარ მირიანაშვილის დაკავების ფაქტს არ ადასტურებენ.

შეგახსენებთ, რომ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში სასმელი წყლის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გუშინ, დილით გაიმართა. აქციის მონაწილეების თქმით, ბოლო დროს სოფლის სასმელი წყლით მომარაგებისათვის ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხა არაერთხელ გამოიყო და დაიხარჯა, თუმცა სოფელი სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ სურსათი



# რას გვიქადის მკათათვეს მოყოლილი ემბარგო?

**რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის 4 აგვისტოს მიღებული ერთპიროვნული გადაწყვეტილების შესაბამისად, გასული კვირიდან წლის დასასრულამდე, რუსეთიდან ხორბლისა და მისი წარმოებულების ექსპორტზე, მისივე განცხადებით, „დროებით შეზღუდვა დაწესდა“.**

პუტინის თქმით, ამ გადაწყვეტილების წყალობით უნდა შენარჩუნდეს ქვეყანაში პირუტყვის ჯოგის სულადობის ოდენობა და არ დაუშვან შიდა ბაზარზე ფასების ზრდა.

მართალია, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მსოფლიო ხორბლის ბაზარზე რუსეთს ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და საფრანგეთი ჩაანაცვლებენ, რის შედეგად რუსეთის პრემიერის ეს გადაწყვეტილება ქვეყანას შესაძლოა „ეკონომიკურ ბუმერანგად დაუბრუნდეს“, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ჩვენთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ აისახება ყოველივე ეს ხორბლის მსოფლიო ფასების დონეზე.

რუსეთის პრემიერის აღნიშნულ გადაწყვეტილებას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოეხმაურა, სადაც განაცხადეს, რომ ამ ქვეყნიდან ექსპორტის „შეზღუდვა“, ფაქტობრივად, შეწყვეტას ნიშნავს, რაც მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის მეტად სერიოზულ პრობლემას შექმნის. ამასთან, ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ სადღეისოდ საქართველოს ხორბლის სოლიდური მარაგი აქვს, ხოლო ალტერნატიული მომწოდებლის არსებობამ კი სამომავლოდ პრობლემები არ უნდა შეგვიქმნას, მარამ აქვე ისიც დასძინეს, რომ **რუსეთიდან „ხორბლის წყაროს“ გადაკეტვა ფასწარმოქმნაზე ზეგავლენას მოახდენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პური, ფქვილი და მისი ნაწარმი აუცილებლად გაგვიძვირდება.** ეს პროცესი დიდი ხნის დაწყებულია და პურის ფასის თითქოს ერთ დონეზე შენარჩუნება მხოლოდ დეკორატიული ხერხების გამოყენებით ხერხდება. ჯერ ერთი, დიდი განსხვავებაა სხვადასხვა მეწარმის მიერ გამოცხობილი პურის ხარისხში, რაც, თავის მხრივ, ფქვილის ხარისხზეა დამოკიდებული, მეორეა მათი წონა, რომელიც აბსოლუტურ უმრავლესობა შემთხვევაში არც არის მითითებული. კიდევ ერთი გარემოება, რაც პურის გაძვირებას გარდუვალს ხდის, კვების სხვა პროდუქტების, კერძოდ, კვერცხის, ცხიმების, ბურღულეულისა და ა. შ. უკვე მომხდარი, საკმაოდ მნიშვნელოვანი (20-30 პროცენტით!ძ გაძვირებაა. ხოლო თუ ქვეყანაში ჯერ სხვადასხვა სტიქიის — სეტყვის, გვალვის, წყალდიდობების, ხანძრების — შემოტევებით გლეხობის მიერ მიღებულ ზარალს, ანუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგებს გავითვალისწინებთ, რაც აგვისტოს თვეში არნახულად მაღალი ფასებით გამოიხატება, ცოტა ხანში პურის გაძვირებას ალტერნატივა არ უჩანს.

ამის თაობაზე შეშფოთებას სხვა ქვეყნებშიც გამოთქვამენ, რუსეთის ცალმხრივ გადაწყვეტილებას 15 აგვისტოდან ქვეყნიდან ხორბლის იმპორტზე შეზღუდვის დაწესებას მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობაც გამოეხმაურა. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მმართველმა დირექტორმა ნგოზი ოკონჯოივეალამ, კერძოდ განაცხადა, რომ ხორბლის მიწოდებაზე რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესებამ, შესაძლოა, **„სასურსათო ბაზარზე გლობალური კრიზისი გამოიწვიოს, რაც, პირველ ყოვლისა, ღარიბ ქვეყნებზე აისახება“**. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ბანკმა ხორბლის იმპორტიორ ქვეყნებს მიმართა, რომ მათ რუსეთს ამ საკითხში არ მიბაძონ.

რამდენად შესრულდება ეს მიმართვა და კონკრეტულად რა სიმძაფრით აისახება რუსეთის ხორბლის ექსპორტზე ემბარგოს პოლიტიკა კარს მომდგარ შემოდგომასა და მერე ზამთარში, ახლო მომავალი და ჩვენი დაცარიელებული ჯიბე გვიჩვენებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

(მეხუთე გვერდიდან)

# ცხელი ზაფხულის გრილი ამბები

### ბიჭი და ციცინათელები

**ის ისევ ძელსკამზე იჯდა, წელში გამართული, ხუჭუჭა თავით ნაცრისფერ მესერზე მიყრდნობილი, შუკას მიღმა მაღალ ბელეტაჟზე შემდგარ სახლს მისჩერებოდა.**

არადა, მოაგარაკენი, უფრო სახლის მეპატრონენი, მაგრამ უკვე გაქალაქელებულნი, ბებია ორი ქალიშვილითა და ერთი ბუთხუზა გოგონათი სამიოდე კვირის წინათ ჩამოვიდნენ. გაზაფხულის ამ დროს ნაძვები მძივებივით წითელ ნაყოფს ისხამენ, წიწვები ნაცრისფრად იმტვერებიან, საკმარისია, ნიავმა დაჰქროლოს, აქაურობა ნაცრისფერ ბურუსში იძირება. ეს მტვერი თურმე ფილტვებით დაავადებულთათვის მისწრებაა. და აი, დასველებულ-გალაღებულნი ამ დილაადრიან აიკრიფნენ და მატარებელმა თბილისისკენ გააქროლა. ნეტავი არ ჩამევლო, ბიჭის შემხედვარეს გული დამეთუთქა. აბა, რა მეგონა, აქ თუ იქნებოდა.

ტოროლა, ქალიშვილს სახელად რომ დავანათლე და რომლის მწყემსად ეს ვაჟი დადგა, იმ მატარებლით გაფრინდა. გოგონა მართლა ტოროლა იყო, ნათლიია ხარო, შემომკისკისებდა. მერე ვეხუმრე, მეხუთე საუკუნის ეკლესიას რომ აღადგენენ, აქვე ხევის თავში, ერთ-ერთ კედელზე შენს სურათს მივახატავ და ყინწვისის ანგელოზთან მოგიწევს პაექრობა-მეთქი. მერე როგორ აკისკისდა.– არადა, ბიჭიც იქ იდგა, როგორღაც სახეზე წამოენთო, თუმცა ჩემი ნათქვამი გაიგო თუ არა, ვერ გეტყვით.

სულ რაღაც ორი წელია, რაც ამ ხეობის მკვიდრი მოაგარაკე გავხდი. აქაურებს და აქაურობას მძიმედ ვეცნობი. რომ მითხრეს, ბიჭს გოგო უყვარსო, აბა რად გამიკვირდებოდა. თუმცა როცა გავიგე, ბიჭი ყრუ-მუნჯიაო, ელდა მეცა. მშობიარობისას ექიმის უხეშ შეცდომას ბიჭი სამუდამოდ დაუმახინჯებია. თუმცა უფალმა ბოლომდე არ გასწირა. რომ შეხედავ, ნეტავ რა დედამ გაზარდაო, იფიქრებ, მზეჭაბუკია, ვარსკვლავთბიჭუნა-მეთქი, ქალიშვილის გასაგონად კი ვთქვი, მაგრამ...

დღე დიდი ხანია მიიწურა, ხევი სიმრუმემ ამოაპირთავა, უსასრულობას შეყუდებული მთებით გაპობილი ცა ვიწრო ზოლად დაჰფენოდა იქაურობას, ორღობე კი სავსე იყო ციცინათელებით. ისინი ვაჟის ხუჭუჭებში იხლართებოდნენ, მხრებზე ასკდებოდნენ, თავს დასტრიალებდნენ და მზეჭაბუკის სახეზე უცნაურ ღიმილს აფენდნენ. სხვა რა გზა იყო, ჩავუარე და ხელი ავუწიე. ოდნავ წამოდგა, თითქოს რაღაც მითხრა, მერე ისევ ძელსკამზე დაჯდა და შუკას მიღმა იმ სახლს მიაჩერდა, სახეზე ისევ სასწაულებრივი ნათელი. დაჰფენოდა.

დიდება შენდა, უფალო, აღმოსავლეთით მთის წვერზე დიდ და ნათურებით მოკაშკაშე ჯვარს მივუბრუნდი და პირჯვარი გადავიწერე. ღამე იყო იდუმალი, მყუდრო და ხეობას რაღაც ძნელად შესამჩნევი შუქი ჩაჰფენოდა. იქნებ ეს იმ ბიჭის მკერდიდან ამოფრქვეული ცეცხლის ნათება იყო. ტოროლა კი, ვინ იცის ახლა სად წკრიალებს...

### შეხვედრა პოეტთან

**იმ ადრიან დილით ჩემი ეზოს მოპირდაპირე მწვანედ აბიბინებულ ხეივანს მოკლედ რომ ვჭრიდი, უშველებელ, ერთიანად აფოფრილ ფიჭვის ჩრდილქვეშ საბავშვო ეტლში ლამაზ ბიჭუნას მოვკარი თვალი.**

თქვენი რა არის-მეთქი, — პატარა გოგონა ბავშვს რომ თავს დაფოფინებდა, ვკითხე. თან გავიფიქრე, ამ თვითონ ბავშვს ეს პატარა ვინ ანდო-მეთქი.

— შვილი, ბატონო, — როგორღაც გაოცებულმა დიდრონი თვალები შემომანათა. ხომ დღე ენთო დიდებული და ბრწყინვალე, მზით გაჩახჩახებული, ცა ბროლის სხივებს მათოვდა, მაგრამ ამ წუთას მეგონა, ირგვლივ ყოველივე ასჯერ და ათასჯერ განათდა.

— ღმერთმა გაგიზარდოს და გიმრავლოს. — ჩემი უხერხულობა რომ დამეფარა, მივეალერსე დედა-შვილს. რა გვარისაა?

— ჯანგულაშვილი — მშვიდად მიპასუხა და ვაჟი ხელში აიყვანა, თითქოს მიმტკიცებდა, ხომ ხედავ, ჩემია და თანაც ასეთი კარგიო.

— სახელი რა ჰქვია ვაჟკაცს?

გონებაში გვარის ხსენებამ რაღაც შორეული წარსულისკენ მიმაბრუნა. ხსოვნაში ძალიან ახლობელი ადამიანი ამომიტივტივა.

— თემიკოს ვეძახით, ისე თეიმურაზი ჰქვია, ბატონო.

ღმერთო დიდებულო, აქ საიდან?!

ამ ოციოდე წლის წინათ ზეციურ საქართველოში გადასახლებულ ომგადახდილ პოეტთან და გულანთებულ მამულიშვილ თეიმურაზ ჯანგულაშვილთან შეხვედრა ჩემთვის მართლაც მოულოდნელი იყო. ის ხომ თბილისში ცხოვრობდა. პოეტი ჯანგულაშვილი თუ გსმენია-მეთქი, ახალგაზრდა დედას რომ ვკითხე, პასუხი არ დააყოვნა, ჩემი ვაჟის დიდი პაპა იყოო. დედა-შვილს გავცილდი, თუმცა ძალიან დიდი სიხარული ვიგრძენი, მოულოდნელად პოეტის ყველაზე სანუკვარ ლექსს რომ გადავეყარე...

### გეი ან ცისფერი

**სიჭაბუკის წლები ისე განვვლე, ისე შევდგი ფეხი კაცობაში, გეი რა იყო, არ ვიცოდი და განა მარტო მე?**

მეოცე საუკუნის შუა წლები ბაბანებდა. კაცობრიობამ ახალ-ახალ აღმოჩენათა სამყაროში გზა კარგად რომ გაიკვლია, ერთხელ ვიღაცამ, არ მახსოვს ვინ, ცისფერი პერანგი მიყიდა, ძალიან მომიხდა და მეორე დღეს სამსახურში ცისფერით გამოვცხადდი. სიმართლე გითხრათ, მიყვარს ეს ფერი. ეგ რა ჩაგიცვია — ერთმა ჩიტირეკია გოგონამ, ჩემზე ბევრად ახალგაზრდამ და თანამედროვემ, ეგრევე მომახალა — ცისფერი ხომ არ გახდიო.

გავშტერდი. იმ პერიოდში „ცისფერი ტრიოს“ ჰანგები ყველაზე საამოდ ჟღერდა და ჩავთვალე, ალბათ მათ წევრად ან თაყვანისმცემლად მიმიჩნია-მეთქი, მაგრამ იქ მყოფთ ერთბაშად სიცილი რომ წასკდათ, იქაურობა დავტოვე. ეგ იყო და ეგ, ცისფერი არ ჩამიცვამს. მამათმავალი ისევე უძველესი პროფესიაა, როგორც მეძავი. ეგ კი ვიცოდი, ბევრი რამ წაკითხული მქონდა, ისიც ჟანგიანი ისტორიის ფურცლებზე. დღესაც არ მესმის, რა საჭიროა ეგ უბედურება, როდესაც ღმერთმა შექმნა ქალი, მუსიკასავით მშვენიერი, როცა მის ყოველ ნაკვთს, ფეხის ფრჩხილებიდან თმის ძირებამდე, შეგიძლია ნექტარივით დაეწაფო. დღეს კი ჰომოსექსუალების აღლუმიო, გეების უფლებებიო, ხელშეუხებლობის მანიფესტიო, სექსუალური უმცირესობის ღირსების დაცვაო... აგერ, თურმე ბერლინის ქალაქის თავი კლაუს ვოვრაიტი ლამის გადამღრძვალი ბებერი, თავისი მიხრწნილი ბოიფრენდით გვეჭიმება, კიდევ ვიღაც მაღალჩინოსანი ფრანგი, ამერიკელი, ევროპელი თუ... თავს იწონებს თავისი ცისფერობით.

ღმერთო, შენ გვიშველე!

### ბიჭი მეყოლება, ბატონო!

**აფთიაქს, რომლის არცთუ ისე იშვიათი სტუმარი ვარ, ისეთი ლამაზი, მშვენიერი და კეთილი ქალბატონები ემსახურებიან, მართალია, ჩვენებური წამალი დიდი ვერაფერი ბედენაა, მაგრამ თვით აფთიაქარების ღიმილია ლამის უკვდავების წყარო.**

იმ დღესაც, ჩვეულებრივ წამლის შესაძენად რომ მივედი, ახალი, შავთვალწარბა და თვალებბრდღვიალა ქალიშვილი დამხვდა.

— ალბათ, ახალი თანამშრომელი ხართ. — ადამიანები ზოგჯერ ისეთ კითხვას ვსვამთ, ვიცით, რომ სიტყვის მასალაა და მაინც.

— დიახ, ბატონო! — თან ისეთი ღიმილი მოაყოლა, სნეულ გულს მალამოდ დაედება.

— გასათხოვარი? კარგი ბიჭი ჩემზე იყოს, — წავეხუმრე და რეცეპტი გავუწოდე. იმან კი პასუხი არ დააყოვნა, სკამიდან ოდნავ წამოიწია, სავეს მთვარესავით ამობურცულ მუცელზე ხელები დაიდო, — რას ამბობთ, ბატონო, ის კი არა, მალე ბიჭი მეყოლებაო, სიამაყით დააყოლა.

ანაზდად როგორღაც უზომოდ გავიხარე. რაღაც ისეთი აღმატებული გრძნობა დამეუფლა, წამლისთვის რომ მოვედი, სულაც დამავიწყდა.

**გივი ჯახუა,**

**ბორჯომის ხეობა, ივლისი, 2010**

## წლები

# ჭეშმარიტი მეცნიერი, უღალატო მეგობარი

**ტექნიკური დარგის ინტელიგენციის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს აკაკი დუმბაძეს დაბადებიდან 70 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.**



ა. დუმბაძის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებით ჩატარებული კვლევები ეხება მყარი დეფორმადი სხეულების მექანიკას, კერძოდ, დრეკად-ბლანტი (კომპოზიციური) სხეულებისაგან დამზადებული გარსული კონსტრუქციების გაანგარიშებას, იმ პირობების გათვალისწინებით, როცა კონსტრუქცია ან მისი ელემენტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობს აგრესიული გარემოს, მაღალი (დაბალი) ცვლადი ტემპერატურის, განვითარებული ცოცვადობის დეფორმაციებისა და სხვა ფაქტების ზემოქმედების ქვეშ. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული თეორიული კვლევები 26 წელზე მეტი ხანგრძლივობის ექსპერიმენტული მონაცემებით არის შემოწმებული. ამიტომ იყო, რომ ეს შედეგები დანერგილ იქნა შესაბამისი პროფილის სამხედრო ორგანიზაციების მიერ.

თავისი ხანგრძლივობითა და სიზუსტით აღნიშნული ექსპერიმენტული მონაცემები აღემატება სამხედრო სტანდარტებით გათვალისწინებულ 18-წლიან მონაცემებს კომპოზიციური სხეულების კვლევის დარგში. ეს შედეგები საფუძვლად უდევს და თანაბარი ხარისხით გამოიყენება როგორც წყალქვეშა მცურავი, ასევე კოსმოსში მოძრავი კომპოზიციური კონსტრუქციების გაანგარიშებას.

კვლევისადმი ახალი ორიგინალური მიდგომის გამოყენებით, რომელიც ემყარებოდა ცნობილი კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის აპარატს, ა. დუმბაძის მიერ შემუშავებულია გარსთა სივრცული ამოცანების ბრტყელ ამოცანებზე მიყვანის ხერხი, რომლის საფუძველზე გაანგარიშებულია ბრუნვითი, კერძოდ, სფერული კომპოზიციური გარსები, რომლებსაც შეერთების მრუდი საზღვარი გააჩნიათ. ცნობილია, რომ ასეთი სახის კონსტრუქციები ფართოდ არის გავრცელებული პრაქტიკაში.

ა. დუმბაძე 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დღემდე ენერგიულად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, კითხულობს ლექციების კურსს თეორიული მექანიკის, კომპოზიციური სხეულების მექანიკის, მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიაში სტუდენტებთან, მაგისტრებთან, ხელმძღვანელობს დოქტორანტებს. გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი ნაშრომი, რომელთა შედეგები უმეტესად პრაქტიკაშია დანერგილი. მის მიერ შექმნილია სტუდენტებისათვის არაერთი სახელმძღვანელო და რამდენიმე მონოგრაფია.

იგი შემოქმედებითი აქტივობით ხვდება თავისი დაბადების დღეს. მისი აღზრდილები, მეგობრები, ახლობლები, კოლეგები, ფართო საზოგადოება კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ აკაკი დუმბაძის სახით ქართველ ხალხს ჰყავს შესანიშნავი მამულიშვილი, ჭეშმარიტად პროფესიონალი მეცნიერი, უღალატო მეგობარი, მოამაგე, უანგარო აღმზრდელი.

ბ-ნი აკაკი დაჯილდოებულია აკადემიკოს ს. კოროლიოვის მედლითა და ღირსების ორდენით. გვჯერა, რომ წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი და აკაკის მრავალი წარმატების მოწმენი ვიქნებით.

მეგობრები, პროფესორები
**სიმონ შარაძე,**
**ლექსო ბოლქვაძე,**
**ლადო ბალაძე.**

## მხიარულ ტალღაზე

**— პირი არ მოკუმოთ, ბატონო, დავბრუნდები შესვენებიდან და გავაგრძელოთ მუშაობა.**



ამირან ერაძის
კარიკატურა

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული სინდრომი

**ამ კვირეებში რუსეთი აღნიშნავდა საქართველოსთან ომის მეორე წლისთავს თავისთვის ტიპურ მანერაში: პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ჩავიდა აფხაზეთში – ამბოხებულ პროვინციაში, რომელსაც რუსეთი აღიარებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, – ერთ-ერთმა რუსმა გენერალმა კი განაცხადა, რომ რუსეთმა აფხაზეთში განალაგა თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები C-300, რათა დაუპირისპირდეს ახალ საფრთხეს საქართველოს მხრიდან**

თუ ქართველები, რომლებიც რუსეთის ყოველ პროვოკაციას უყურებენ, როგორც აპოკალიფსურს, დაიწყებდნენ განგაშს, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ხელს ჩაიქნევდა გენერლის განცხადებაზე, როგორც მოძველებულ ახალ ამბებზე. ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ცდილობს – ჯერჯერობით სავსებით წარმატებით – გამოძებნოს ბალანსი საქართველოს დაცვასა და რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვის“ შენარჩუნებას შორის. მაგრამ რას იზამს იგი, თუ რუსეთი უბრალოდ უარს იტყვის დატოვოს ის ტერიტორიები, რომლებიც ხელში ჩაიგდო უკანონო და უსამართლო ომის დროს.

საქართველოს, რომელიც დიდად ჩამორჩება რუსეთს მკაცრი ძალის ყველა ასპექტში, აქვს გამაოგნებელი უპირატესობა რბილ ძალებში. რუსებს ეს, რასაკვირველია, აოცებს და წონასწორობას აკარგვინებს. როგორც ისრაელი, საქართველო შედის იმ ქვეყნების რიცხვში, რომელთა შესახებაც ამერიკელებს არ შეუძლიათ იფიქრონ რაციონალურად. თბილისის სტუმრები – ქვეყნის ამ ძველი ულამაზესი დედაქალაქისა – მალე აღმოჩნდებიან ხოლმე „ქართული სინდრომის“ ტყვეობაში, და მზად არიან დანებდნენ სენტიმენტალურ სურათებს, უხვ სუფრას, ცენტრალური ევროპის მსგავს ბულვარებს და უცნაურ ერთგულებას დასავლური ღირებულებებისადმი. თავად ჩემზე ყოველივე ამან დიდად იმოქმედა – სტატია ომის – წინა მოვლენების შესახებ რომელიც მე დავწერე „ნიუ იორკ ტაიმსისთვის“, რასაკვირველია, კვლავ უნდა მოსწონებოდა პრეზიდენტ სააკაშვილს. ამჟამად მე ისევ თბილისში ვარ, ვკითხულობ ლექციებს მთავრობის მოწვევით, თუმცა ჩემი მთავარი მიზანია ვნახო ჩემი შვილი, რომელიც ამჟამად პრაქტიკას გადის ფინანსთა სამინისტროში.

საქართველოს ლიდერები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ერთგვარი დიდი ოპტიმიზმით უყურებენ, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ასე საუბრობენ. საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრი თემურ იაკობაშვილი, სააკაშვილის ახლო მეგობარი, რომელიც იზიარებს თავისი უფროსის ბევრ დამახასიათებელ თვისებებს – აბსოლუტურად დარწმუნებულია ქვეყნის ბედნიერ მომავალში. „ჩვენ გვწამს, – მითხრა მან მე, – რომ ობამას ადმინისტრაცია არ გაჰყიდის საქართველოს“. საარჩევნო კამპანიის დროს ობამამ მკვეთრად, თუმცა ერთგვარი დაგვიანებით, დაგმო რუსეთის შეჭრა საქართველოზე, პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის დროს კი მან არაორაზროვნად ბრალი დასდო რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივ ანექსიაში. სწორედ სამხრეთ ოსეთში დაიწყო 2008 წელს ომი. იაკობაშვილი და მისი კოლეგები დიდად კმაყოფილები იყვნენ, როდესაც სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, რომელიც გასულ თვეში იყო თბილისში, რუსეთის ყოფნას ორ ოლქში პირდაპირ უწოდა „ოკუპაცია“.



როგორც ისრაელელებს, ქართველებისთვისაც არ არის სასიამოვნო იმის შეგრძნება, რომ მათი მოთხოვნები ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ემყარება უფრო მეტად მორალს, ვიდრე სტრატეგიას. იაკობაშვილი პირდაპირ ამტკიცებს, რომ რუსეთის ყოფნა ამიერკავკასიაში ემუქრება ნატოს ბრძოლას ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანაშაულობასთან და ბირთვული იარაღის გავრცელებასთან. კერძოდ, ის მიამბობს, რომ რუსეთის პასპორტებს, რომლებსაც აძლევდნენ ოსებს, ნახულობდნენ ჩეჩენ სეპარატისტებთან. მაგრამ სინამდვილეში ამჟამინდელ საპატო სიტუაციას ძნელად რომ შეიძლება უწოდო არასტაბილურობის წყარო. როდესაც მე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ირაკლი ფორჩხიძეს შევეკითხე, თუ რატომ უნდა იბრძოდეს დასავლეთი რუსეთის წასვლისთვის აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, მან მიპასუხა: „რუსეთმა დაარღვია საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპი. იგი შემჩნეულია ეთნიკურ წმენდაში. განა ეს არ არის ადამიანის უფლებების საკითხები?“

საქართველო, არსებითად, თავისი მეგობრებისთვის პრობლემას წარმოადგენს. მისი მეზობლების დიდი ნაწილი პოსტსაბჭოთა სივრცეში ძეძს უხრიან რუსეთის პრეტენზიებს რეგიონალურ ჰეგემონიასთან დაკავშირებით – თუმცა არა ჯიუტი საქართველო. ბევრი მათგანი, ვინც საბოლოოდ არ დანებებია „ქართულ სინდრომს“, არწმუნებდა სააკაშვილს, არ გაეღიზიანებინა რუსეთი და მისი აფეთქებადსაშიში პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი, დატოვოს ყოველგვარი იმედი ნატოში შესვლაზე და დათრგუნოს თავისი აშკარა ნაციონალიზმი. ექსპერტი რეგიონების საკითხში თომას დე ვაალი ვარაუდობდა, რომ რუსეთიც ცდილობს განახორციელოს „გადატვირთვა“ დასავლეთთან ურთიერთობაში, რაც შეიძლება შეხებოდა კიდეც საქართველოსთან შერიგებას, მაგრამ დაუმატა, რომ ამგვარი ცვლილებანი შეუძლებელია სააკაშვილის დროს – ის მოსკოვის „აშკარა მტერია“.

სააკაშვილი, მართლაც, ფიცხი და აჩქარებული კაცია, მაგრამ ქართველებს, ეტყობა, მასში ეს მოსწონთ. მან ნაწილობრივ – თუმცა აშკარად არა მთლიანად – დაიბრუნა პოპულარობა, რომელიც დაკარგა ომის შემდეგ, რომელშიც საქართველომ იწვნია სწრაფი და დიდი დამარცხება, ქართული ოპოზიცია კი უიმედოდ დანაწევრდა. ქვეყანაში ბუმია, სააკაშვილი აწარმოებს დიდ მშენებლობას, რათა ხაზი გაუსვას თავის იმიჯს მეორე დავით აღმაშენებელთან დაკავშირებით – საქართველოს დიდ მეფესთან, რომლის საფლავის წინაშეც მან დაიფიცა, რომ გაჰყვება მის გზას. როდესაც მისი საპრეზიდენტო ვადა დამთავრდება, ის შეიძლება გახდეს პრემიერ-მინისტრი, როგორც ეს პუტინმა გააკეთა. ერთი სიტყვით, საქართველოში ის არავითარ შემთხვევაში არ არის უცხო. ამას გარდა არავითარი ნიშანი არ არის იმისა, რომ რუსეთი მართლაც შეამსუბუქებს თავის პოზიციას მეზობლებთან დაკავშირებით. პუტინის – ან მედვედევის – რუსეთს, როგორც ჩანს, სჭირდება დამონება, მაგრამ არა შერიგება. თუ რუსეთის მიზანი იქნებოდა, უბრალოდ გაეთავისუფლებინა ოსი და აფხაზი ხალხები ქართული უღლისაგან, მაშინ შეიძლებოდა გამოძებნილიყო რაიმე გადაწყვეტილება, რომელიც იგულისხმებდა მნიშვნელოვან ავტონომიას, მაგრამ თუ მისი მიზანია დააჩოქოს საქართველო, მაშინ ის არ გამოიყვანს თავის ჯარებს რეგიონიდან დასავლეთის შეუთანხმებელი ზემოქმედების გარეშე.

სწორედ აქ არის პრობლემა. თუ რუსეთი კვლავ შეეცდება დაიმორჩილოს საქართველო, დასავლეთს შეუძლია მოახდინოს რეაგირება. მაგრამ რა იქნება, თუ მოსკოვი უბრალოდ გააგრძელებს დაპყრობილის შენარჩუნებას? ევროპელი ლიდერები, რომელთაგან ბევრი დამოკიდებულია რუსეთის ნავთობზე და გაზზე, ძნელად რომ მიიჩნევს, საჭიროდ, რომ ამ ჩიხიდან გამოსვლისთვის გარისკოს რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება.

**ჯეიმს ტრაუბი**

**ფორინ პოლისი**

Foreign Policy

# საქართველო და რუსეთის სიძლიერის საზღვრები

**მოსკოვმა სამხრეთი ოსეთი გამოიგონა სტალინის დროს. ეს ანკლავი უზრუნველყოფდა რუსეთისთვის პლაცდარმს მთელს კავკასიაზე, რაც საშუალებას აძლევდა აგრეთვე განეხორციელებინა კონტროლი საქართველოს ტერიტორიაზე. სამხრეთოსეთელები იყვნენ და რჩებიან მოსკოვის იარაღად**

ამჟამად რუსეთი ახდენს ოკუპაციას არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთისა, არამედ მის ტერიტორიასაც თბილისიდან 20 მილში. მაგრამ „ხელოვნური ტერიტორიები“, რომლებიც მოსკოვის სუბსიდიებზე არიან დამოკიდებული, – ეს არის „შავი ხვრელები“, სადაც ყვავის უკანონო ბიზნესი, კორუფცია, კონტრაბანდა, აზარტული თამაშები, ალკოჰოლიზმი და იმის სწავლება, თუ როგორ უნდა იარაღის ხმარება. საქართველო კი, პირიქით, მსოფლიო ბანკის რეიტინგში მეთერთმეტე ადგილზეა ბიზნესის წარმოების სიმსუბუქის მხრივ.

რუსეთმა ვერ შეძლო სააკაშვილის შეცვლა, აფხაზები და ოსები მიხვდებიან, რომ თბილისისგან გათავისუფლება როდი ნიშნავს მოსკოვისგან გათავისუფლებას – ეს სულაც არ არის თავისუფლება, ისინი მალე დაინახავენ, რომ მათი ტერიტორია მერყევია იმ დროს, როდესაც უცხოელი ინვესტორები აბანდებენ ფულს საქართველოში. საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ „საქართველოს მხარე აწარმოებს არაოფიციალურ მოლაპარაკებას სეპარატისტული ოლქების ხელისუფლებასთან და წინ მიიწევს ამ საქმეში“. იაკობაშვილის აზრით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები მალე იგრძნობენ, რომ რუსებმა მოახდინეს მათი ოკუპაცია: „სანამ დასავლეთი დასავლეთია, რუსეთი კი რუსეთი, ეს ისტორია ჩვენთვის ბედნიერად დამთავრდება“.

**მელიძ კაილენი**

THE WALL STREET JOURNAL. ONLINE




# საქართველო რუსეთის ბაზრის შეცვლას ეძებს

**საქართველომ მოიფიქრა, თუ როგორ შეცვალოს რესპუბლიკისთვის ტრადიციული პროდუქცია, რასაც იგი ადრე აწვდიდა მისთვის ამჟამად დაკეტილ რუსეთის ბაზარს. საქართველო სახელგანთქმული იყო ღვინის, ციტრუსების, მინერალური წყლებისა და ხილის ექსპორტით. ამჟამად ფსონს აკეთებენ ცხვრებსა და ბაყაყებზე**

ამ თვეში ქართველები აქტიურად აწვდიან ირანს ცხვრებს. მიწოდება გაიზრდება ამ თვეში რამადანთან დაკავშირებით, რომელიც შუა სექტემბერში მთავრდება, როდესაც მოთხოვნა ცხვრის ხორცზე იზრდება. სხვათა შორის, სექტემბრიდან ქართველები ირანთან უვიზო რეჟიმის შემოღებასაც კი აპირებენ ერთობლივი მგზავრობებისთვის. წლის ბოლომდე ამ ქვეყნისთვის მიყიდული ცხვრების ოდენობა 200 ათასს შეადგენს. პირველი პარტიის გაგზავნა საზეიმო აქციად გადაიქცა, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი. თითოეულ ცხვარს საქართველოდან ჰყიდიან 60-70 დოლარად, იტყობინება თბილისური გაზეთი „ეკონომიკური პალიტრა“. საქართველოს მეცხვარეობის განვითარების შესახებ იზრუნა, ჯერ კიდევ 2009 წლის ბოლოდან საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ ეს შეიძლება გახდეს ექსპორტის სერიოზული სტადია და რომ „არ შეიძლება დამოკიდებული ვიყოთ რუსეთის ბაზარზე“.



მაგრამ მხოლოდ ცხვრით როდი აპირებს ახალი ბაზრების დაპყრობას საქართველო. ბაკურ კვეზერელმა გვაცნობა, რომ ქვეყანა უკვე აწვდის ბაყაყებს საფრანგეთს და ევროპის სხვა ქვეყნებს. ივლისიდან ამ თვემდე უკვე გატანილია 120 კილოგრამი თათი, ცოცხალი ბაყაყი კი – 250 ათასი, ოთხი ტონა საერთო წონით. ამ ბიზნესის განვითარებისთვის ქართველებს სჭირდებათ ინვესტიციები, მაგრამ ევროპულ აპეტიტს ყველაფერი წესრიგში როდი აქვს. საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ერიკ ფურნიემ ამ დღეებში განაცხადა, რომ უცხოელი ინვესტორების განწყობილება საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის გამო „სკეპტიკურია“. დიპლომატის სიტყვებს მხარი დაუჭირა ქართველმა ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილმაც: მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკის 70 პროცენტამდე ეს ჩრდილოვანი სექტორია“.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## დედამიწის ზურგზე



**ჩინეთში რუსეთის საზღვრის მახლობლად აფეთქდა პიროტექნიკურ ნაკეთობათა ფაბრიკა**

აფეთქება, რომლის ხმაც გაისმა ორშაბათს დილით ქალაქ იჩუნიას ერთ-ერთ რაიონში, ისმოდა ორი კილომეტრია მანძილზე. დაღუპულთა და დაზარალებულთა შესახებ მონაცემები ჯერჯერობით არ არის. ჩინეთი არის მსოფლიოში ლიდერი პიროტექნიკის წარმოების მიხედვით. ბევრი ფაბრიკა მუშაობს იატაკქვეშ და უსაფრთხოების ტექნიკა იქ დაცული არ არის.

* * *



**კონკურსის „მის მსოფლიო“ ორგანიზატორებს ბრალს სდებენ მონაწილეთა „სექსუალურ ექსპლუატაციაში“**

„მის მსოფლიოს“ საიტზე ფინალის წინა დღეს გაჩნდა შიშველი კონკურსანტების ფოტოგრაფიები, მათი სიშიშვლე დაფარული იყო მხოლოდ წარწერით სხეულზე. ორგანიზატორები ამტკიცებენ, რომ ეს არ არის ზრდილობის დარღვევა. კონკურსის ფინალი გაიმართება ლას-ვეგასში 23 აგვისტოს.

* * *

**ნატოს დაღუპულ ჯარისკაცთა რაოდენობამ ავღანეთში 2 ათას გადააჭარბა. ობამას გეგმა ჯარების გამოყვანის შესახებ შეიძლება ჩაიშალოს**



კოალიციის ჯარები შეიძლება დარჩნენ ავღანეთში 2011 წლის შემდეგაც. თუმცა ბარაკ ობამას სურს ჯარების გამოყვანა დაიწყოს ერთი წლის შემდეგ, კონტინგენტის სარდალი გენერალი ტეტრეუსი კი დარწმუნებული არ არის, რომ ვითარება ამ დროისთვის ხელსაყრელი იქნება.

* * *

**მალაიზიაში სწრაფად იზრდება ციებ-ცხელების მსხვერპლთა რიცხვი**



ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მონაცემებით, 2010 წელს დარეგისტრირდა დენგეს დაავადების 30,35 ათასი შემთხვევა, რომელთაგანაც 95-ს ლეტალური შედეგი ჰქონდა. ეს 28,659 ათასით და 67 სიკვდილით მეტია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. მარტო გასულ კვირას 847 ასეთი შემთხვევა დარეგისტრირდა.

* * *

**სამხრეთი კორეა და აშშ იწყებენ მორიგ ერთობლივ მანევრებს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მათ „არნახული შურისძიებით“ ემუქრება**

მანევრებში, რომლებიც ეწყობა 16-დან 26 აგვისტომდე, მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 30 ათასი ამერიკელი და 56 ათასამდე სამხრეთ კორეელი სამხედრო მოსამსახურე. ფხენიანს ეს და ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის სხვა მანევრები მიაჩნია მოქმედებად, რომელიც მიზნად ისახავს სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციისთვის მზადებას.

## ჩვენი ბიბლიოთეკა

*ეძღვნება ნ. დ. ლ., რომელმაც ბევრი სასწაული მოახდინა, ქრისტინას — ერთ ამ სასწაულთაგანს, და ბრიდას.*

---

*ანდა დედაკაცი, რომელსაც ათი დრაქმა აქვს, ერთი დრაქმაც რომ დაკარგოს, განა სანთელს არ აანთებს და სახლს არ გამოგვის და გულმოდგინედ არ დაუწყებს ძებნას, ვიდრე არ იპოვის? ხოლო, როს იპოვის, მეგობრებსა და მეზობლებს დაუძახებს და ეტყვის: ჩემთან ერთად იხარეთ, რამეთუ დაკარგული დრაქმა ვიპოვეო.*

*ლუკას სახარება 15: 8-9*

# ვიდრე დავიწყებდე

*„მოგვის დღიურში RAM* ორდენის ორი რიტუალი აღქმა-შეცნობის უნარის განმავითარებელი სავარჯიშოებით შევცვალე, რომელი სავარჯიშოებიც იმხანად შევისწავლე, თეატრთან მჭიდრო კავშირში რომ ვიყავი. თუმცაღა ყველა შედეგი ზუსტად ისეთივე გამოდგა, და ჩემმა მოძღვარმა სასტიკად დამტუქსა. „ბევრად უფრო მოკლე და იოლი გზა-სავალი რომც იპოვებოდეს, ტრადიციის არცრა სხვა რამით შეცვლა არ ეგების“, — მითხრა მან მაშინ.*

*და ამიტომ „ბრიდას“ ფურცლებზე მხოლოდ ის რამდენიმე რიტუალია აღწერილი, რომელთა შესრულებაც მრავალსაუკუნოვანი მთვარის ტრადიციით არის დადგენილ-დაწესებული. ეს რიტუალები განსაკუთრებული თვისებისაა და შესასრულებლად როგორც დიდ გამოცდილებას, ისე მტკიცე წეს-ჩვეულებებს ითხოვენ. თუ რომ განსაზღვრული რამ მიზანი არა გაქვს დასახული, ამ რიტუალთა შესრულება არა მარტო არასასურველია, არამედ საშიშიც არის, ვინაიდან ამ ამბავს სულიერი ძიების დიდად შეფერხება შეუძლია.*

** RAM ღეგნუს (ზეობა) გნუს (ტარიგი) უნდი (მშვიდობა) — მცირე კათოლიკური საძმო, რომელიც სიმბოლოთა ენას სწავლობს, ცნობილია აგრეთვე როგორც ტრადიცია, რომელსაც ზეპირად გადასცემენ ადამიანები ერთმანეთს. — აქაც და შემდეგაც მთარგ. შენიშ.*

*ყოველ საღამოს ლურდის ერთ-ერთ კაფეში ვისხედით. მე — ლოცვადმავალი, პილიგრიმი, რომში მიმავალ წმინდა გზაზე შემდგარი მსხემი, და კიდევ მრავალი დღე უნდა მევლო ჩემი მადლის, ანუ ზეგარდმო ბოძებული ნიჭის საძიებლად. ის — ბრიდა ო' ფერნი — ამ გზის განსაზღვრულ მონაკვეთზე ჩემს ყოველ ნაბიჯს წარმართავდა.*

*და აი ერთ-ერთ ასეთ საღამოს ავდექი და ვკითხე, თუ რა შთაბეჭდილება დაუტოვა მავანმა და მავანმა სააბატომ, რომელიც იმ მებოძირ გზაზეა, ხელდაუსხმელნი პირინეებში რომ მისდევენ.*

*— იქ არცროდის არა ვყოფილვარ, — მიპასუხა ბრიდამ.*

*ასეთმა პასუხმა ნამდვილად გამაკვირვა, რადგან, ასე თუ ისე, ის უკვე ფლობდა მადლს, ზეგარდმო ბოძებულ ნიჭს.*

*— სუყველა გზას რომში მივყავართ, — თქვა მან და ამ ძველი კოსე-სიტყვის მასალით შემახსენა, რომ მადლის გაღვიძება ყოველგან შეიძლება, სადაც კი ინებებ. — მე ჩემი რომის** გზა ირლანდიაში გავიარე.*

*და ჩვენი შემდგომი შეხვედრებისას მან თავის სულიერ ძიებათა ამბავი მომითხრო. თხრობას რომ მორჩა, ვკითხე, შემიძლია თუ არა, რომ ოდესმე ეგ შენგან გაგონილი ჩავიწერო-მეთქი.*

*** პაულო კოელიო „მოგვის დღიურში“ წერს: „როგორც მუსლიმური ტრადიცია ითხოვს, რომ სუყოველი მართლმორწმუნე ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ წინასწარმეტყველი მუჰამადის კვალდაკვალ უნდა შევიდეს მექასა და მედინაში, იმისდა მსგავსად ქრისტიანობის პირველმა ათასწლეულმა სამი გზა იცოდა, სამივე წმინდანთაგან პატივმოსილი, რომელთა ზედაც მავალ ყოველთაგანს ღვთის კურთხევა და ცოდვათა გამოსყიდვა ელოდა. პირველი გზა რომში მიდიოდა წმინდა პეტრეს ტაგრუცთან: ამ გზას დამწყემსებულთ თავიანთ სიმბოლოდ ჯვარი აირჩიეს და რომეირო შეარქვეს. მეორე გზას იერუსალიმში მიჰყავდა მლოცველნი უფლის საფლავთან; ამ გზით მავალნი პალმეიროდ იწოდებოდნენ იმ პალმის რტოთა სამახსოვროდ, რომელი პალმის რტოებითაც ქალაქის მცხოვრებნი ქრისტეს გამოცხადებას მიემშვიდობებოდნენ. დაბოლოს, მესამე გზა წმინდა იაკობის — ჩვენებურად სანტიაგოს — გვამთან ბოლოვდებოდა; ის გვამი იბერიის ნახევარკუნძულზე იმ ადგილას იყო დაფლული, სადაც ერთხელ მავანმა ღამის მეხრემ მოიხილა, ვითარ დაჰკაშკაშებდა მინდორს მცხინვარე ვარსკვლავი“.*



*პირველად დამეთანხმა. ოღონდ მერე, ყოველი ახალი შეხვედრისას, რაღაც ტაბიკებს ამტვრევდა ხოლმე. ხან გმირთა სახელების შეცვლასა მთხოვდა, ხანაც ის ამბავი აგულისყურებდა, ვინ, რა ხალხი წაიკითხავდა იმ წიგნს და, ჩემი აზრით, როგორ აღიქვამდა წამკითხველი.*

*— ეგ, აბა, მე რა ვიცი. — ვუთხარი. — მაგრამ გატყობ, მარტო ეგ არ გაფიქრებს და არც მარტო მაგის გულისთვის მიცარავ ხელს.*

*— მართალი ხარ, — მითხრა. ჩემი ლოცვადმავლობა ნამეტანი თავისებური ცდა მგონია, და საეჭვოა, რომ კიდევ ვისმე გამოადგეს.*

*ასე რომ, ბრიდა, ახლა მე და შენ ერთად ვეწევით რისკს. ტრადიციის უსახელო ტექსტი გვასწავლის, რომ ადამიანები ორ კატეგორიად იყოფიან: ერთნი მშენებელნი არიან, მეორენი — გამშენებელ-დამნერგველნი. პირველნი იქნებ არა ერთი და ორი წელიწადიც ამტვრევენ თავს მიზნად დასახულ ამოცანას, მაგრამ დაგვირგვინებით ერთ მშვენიერ დღეს აგვირგვინებენ. ამის მერე კი, ერთგვარად გულდაარხეინებულნი, ჩერდებიან და თავიანთი ყოფიერების ოთხკედელშუა გამოიკეტებიან ხოლმე. როცა ეს კედლები ამოყვანილია და ნაგებობა გასრულებულია, ცხოვრება აზრსა კარგავს.*

*მაგრამ არიან მეორენი, ანუ ბაღ-ვენახის გამშენებელ-დამნერგველნი, ვისაც მოსავალი მოჰყავს, ამ გამშენებელთ თუ დამნერგველთ ხან არზანი, ანუ ქარიშხლიანი წარღვნა, აზიანებთ, ხან კიდევ არც წელიწადის დროთა ცვლისგან ადგათ ხეირი და მოცლა არცროდის არა აქვთ. მაგრამ ბაღი, გასრულებული ნაგებობისგან განსხვავებით, ზრდას არა წყვეტს. ის მებაღისგან მუდმივად გაფაციცებულ ყურადღებას ითხოვს, ოღონდ მაინც აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ცხოვრება განუჭვრეტლად მომხიბვლელი გახადოს.*

*მებაღეები ადრე თუ გვიან ერთმანეთს პოულობენ, რადგან იციან, რომ სუყოველი მცენარის ამბავში, როგორაც წყლის წვეთში, მთელი დედამიწის ამბავია არეკლილი.*

*პაულო კოელიო*

## ირლანდია
### 1983-ის აგვისტო — 1984 წლის მარტი

## გაფხული და შემოდგომა

— მე გრძნების სწავლა მინდა, გრძნებისმოქმედების სწავლა, — ჩაილაპარაკა ყმაწვილქალმა.

მოგვმა თავით ფეხამდე შეათვალიერა ყმაწვილქალი. გახუნებული ჯინსი და ფეხბურთელის მაისური აცვია, თავი ჯიქურ უჭირავს, სახეზე ის ცრუ უტიფრობა ატყვია, რაც ყველაზე ხშირად მორცხვ ადამიანთ ახასიათებთ. „მე, ალბათ, ორჯერ უფროსი ვიქნები ამაზე“, — გაიფიქრა მოგვმა. მაგრამ ამასთანავე იცოდა, რომ წინ თავისივე სხვა ნაწილი ედგა.

— მე, ბრიდა მქვია, — განაგრძობდა ყმაწვილქალი. — მაპატიეთ, რომ ერთბაშად ვერ წარმოგიდგინეთ თავი. ამწუთს დიდხანს ველოდი და უფრო მეტად ვღელავ, ვიდრე მეგონა.

— რისთვის გინდა გრძნება, იგივ მაგია? — ჰკითხა მოგვმა.

— რათა ყველა იმ კითხვას ვუპასუხო, რომელთაც ცხოვრება მიყენებს, რათა იდუმალ ძალთაძალს დავეუფლო. და კიდევ იქნებ იმადაც, რათა წარსულსა და მომავალში ვიტრიალო.

მოგვს ეს არაერთხელ ჰქონდა მოსმენილი, და არც ეს ყმაწვილქალი იყო პირველი, ვინც ამ ტყეში სწვეოდა. ოდესღაც ის ძალზე სახელგავარდნილი და ფრიად პატივსაცემი მოგვი იყო. იმჟამად მოწაფეთა უმრავლესობიდან მხოლოდ რამდენსამე გამოარჩევდა ხოლმე და სჯეროდა, რომ სოფელ-ქვეყანა იმისდა შესაბამისად შეიცვლებოდა, როგორადაც ის თვითონ შეცვლიდა თავის გარშემო შემოკრებილ ადამიანთ. მაგრამ ერთხელაც შეცდომა რამ მოუვიდა. არადა მოგვთ, სხვათათვის ტრადიციათა მასწავლებელთ, შეცდომის უფლება არა აქვთ.

— ჯერ ნამეტანი ახალგაზრდა ხომ არა ხარ ამ საქმისთვის?

— 21 წლისა ვარ, — მიუგო ბრიდამ. — ბალეტის სწავლას თუ მოვინდომებდი, რასაკვირველია, უკვე გვიან არისო, მეტყოდნენ.

მოგვმა ანიშნა, გამომყევიო, და ორივენი მდუმარედ შევიდნენ ტყეში. „პირმწყაზარია, — ფიქრობდა მოგვი და თან თვალს ადევნებდა, რა წამისყოფით გრძელდებოდნენ ხეთა ჩრდილები: მზე უკვე დაწურვაზე იყო, ზედ ცისპირზე ეკიდა. — მაგრამ მე ორჯერ უფროსი ვარ“. და ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ სახიერი ყმაწვილქალის გადამკიდე, ალბათ, ტანჯვასა და წვა-დაგვას ვერ ასცდებოდა.

ბრიდას კი გული მოსდიოდა, რაკი კაცი, რომელიც




გვერდით მოსდევდა, კრინტს არა სძრავდა. ის კი არა, ბოლოს რაც უთხრა, იმაზედაც არ შეხმიანებია. ნოტიო მიწა ჩამოცვივნული ფოთლით იყო მოფენილი; ყმაწვილქალმაც შეამჩნია, როგორ დაგრძელდნენ ჩრდილები, რაც მწუხრის ჩამოდგომას იუწყებოდა. მალე ჩამობნელდებოდა კიდეც, ამათ კი თან ხელფარნები არ წამოეღოთ.

„უნდა ვენდო, სხვა რა გზაა, — ფიქრობდა ბრიდა. — თუკი ის მჯერა, რომ ამისგან გრძნებას ვისწავლი, ისიც უნდა მჯეროდეს, რომ ამ ტყესაც გამატარებს“.

გზას ტყე-ტყე მიუყვებოდნენ. მოგვი თითქოსდა ალალბედზე მიდიოდა. სრულიად უმიზეზოდ უცაბედად ცვლიდა მიმართულებას, ვითომ უცხადო და იდუმალ დაბრკოლებას რასმე გვერდს უვლიდა. სამჯერ თუ ოთხჯერ ერთსა და იმავე ადგილას დატრიალდნენ.

„ეგება სულაც მცდის“. და ბრიდამ გადაწყვიტა ამ გამოცდის ბოლომდე მიყვანა და თავისი მოძღვრისთვის როგორმე იმის ჩვენება, რომ რაც რამ იმათ თავს ხდებოდა — თვით ერთსა და იმავე ადგილას ტკეპნა-ტორღიალიც კი — იმისთვის სავსებით ჩვეულებრივი ამბავი იყო.

იგი შორიდან ჩამოვიდა და დიდხანს ელოდა ამ შეხვედრას. დუბლინიდან ამ პაწაწინა დაბამდე ასორმოცდაათი კილომეტრი იკეცებოდა, ყოველნაირად მოუხერხებელ ავტობუსებს არანაირი გრაფიკი არა ჰქონდათ, როგორც მოეპრიანებოდათ, ისე მიმოდიოდნენ. ბრიდა დილაბნელზე ადგა, სამი საათი გზაში იყო. ხან რომელ დაბელს ეკითხებოდა ამ უცნაური მჩხიბავი კაცის ამბავს, ხან რომელს და თან უხსნიდა, რაც უნდოდა იმისგან და რატომაც ეძებდა. ბოლოს, როგორც იყო, დაანახვეს ის წარაფი თუ ტევრი, სადაც მოგვი ჩვეულებრივ დღისით ბინადრობდა, და თან გააფრთხილეს, მაგან ერთხელ უკვე სცადა ერთი აქაური ყმაწვილქალის შეცდენაო.

„საგულისყურო ვინმე ჩანს“, — გაიფიქრა ბრიდამ და, ცოტა არ იყოს, შიშნაკრავი, ემანდ მიწაზე დაფენილ სველ ფოთლებზე ფეხი არ დამიცურდესო, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ფრთხილობდა და გულში ლოცულობდა, რომ მზე კიდევ ცოტა ხანს ჰკიდებოდა ცისპირს — გზა უკვე აღმართს ასდევდა.

— მაინც რატომ გინდა გრძნეულების შესწავლა?

ბრიდა დიდად გაახარა იმ ამბავმა, რომ მტანჯველი დუმილი დაირღვა. და თავისი წეღანდელი პასუხი გაიმეორა.

მაგრამ ყმაწვილქალის სიტყვისგებამ შემკითხველი ვერ დააკმაყოფილა.

— იქნებ იმიტომ, რომ მაგია ბნელი და იდუმალია? ანდა იქნებ იმიტომ, რომ იმ კითხვებზე იძლევა პასუხს, ადამიანს მთელი ცხოვრება რომ არ ასვენებენ? თუ უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენს მეხსიერებაში რომანტიკულ წარსულს აღადგენს?

ბრიდას ხმა არ ამოუღია. არ იცოდა, რა უნდა ეთქვა. და ყველაზე მეტად ახლა ის ეწადა, რომ მოგვი კვლავ დადუმებულიყო, ვინაიდან შიშობდა, ვაითუ ისეთი რამ ვუპასუხო, რაც ეგება არც მოეწონოსო.

ტყე რომ აათავეს, ბოლოს მთის წვერზე მოექცნენ. აქ მიწა ხირხატი იყო და ხრიოკი, მაგრამ სამაგიეროდ ფეხი აღარ სხლტებოდა, და ბრიდაც ადვილად ეწეოდა წინ წასულ მოგვს.

ცოტა ხნის მერე მოგვი ძირს დაჯდა და ბრიდასაც სთხოვა, შენც დაჯექიო.

**გადმოაენა**
**გურამ გოგიაშვილმა.**

**(გაგრძელება იქნება)**

კალათბურთი

# ახლოა ლიტვამდე

**დღეს 22 საათსა და 15 წუთზე ლოძში დაიწყება 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე წრის სასტარტო მატჩი: პოლონეთი – საქართველო. მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს, ტრადიციისამებრ, საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგვთავაზებს.**

**„ჯვაროსნები" დანიშნულების პუნქტში კვირას სოფიიდან ჩაფრინდნენ, სადაც IV ტურის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ბულგარელებს მოუგეს – 83:79 (23:20, 16:23, 19:11, 25:25ძ.**




ბალკანელები უკვე ორი სეზონია საკუთარ „უნივერსიადა არენაზე" არ დამარცხებულან, ხოლო უშუალოდ ჩვენი ქვეყნის გუნდთან აქამდე გამართული ოთხი სპარინგიდან სამში სოლიდურ უპირატესობას მიაღწიეს. ეტყობა, ამანაც ათქმევინა ჩვეულებისამებრ სიტყვაძუნწ იგორ კოკოშკოვს საფინალო სასტვენის შემდეგ: „ქართველებმა უნდა იამაყოთ თქვენი საკალათბურთო ნაკრებითო". დიახ, ვამაყობთ ჩვენი ბიჭებითა და მათი სერბი მწვრთნელით, თუმცა არც იმას ვივიწყებთ, რომ გაისად ლიტვაში დანიშნული კონტინენტური ფორუმის ფინალური რაუნდისკენ ჯერ მხოლოდ დიდი ნაბიჯია გადადგმული, რომელსაც დეიურედ გაფორმება დარჩენილ ოთხ ბრძოლაში სჭირდება.

ვიდრე შაბათის დუელზე ვიტყოდეთ ორიოდე სიტყვას, აუცილებლად უნდა შევუქოთ პროფესიონალიზმი და ობიექტურობა სერბ, ბერძენ და ჩეხ მსაჯებს, რომელთა ერთ საეჭვო გადაწყვეტილებასაც, განსაკუთრებით უკანასკნელ წუთებზე, შეეძლო გავლენა მოეხდინა დრამატული სანახაობის შედეგზე. ახლა კი, მოდით, მთავარ თემას დავუბრუნდეთ.

მოგეხსენებათ, მანუჩარ მარკოიშვილი ტრავმის გამო პარტნიორებს შარშან ვერ დაეხმარა. მართალია, ამჟამად იგი მწყობრშია, მაგრამ განვლილ ბატალიებში რაღაც ხელს უშლიდა, რომ სრულად წარმოეჩინა საკუთარი მდიდარი პოტენციალი. და აი, მისი ვარსკვლავიც აკიაფდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 14 აგვისტო „მანუს" დღე იყო. როგორც ჭეშმარიტ ლიდერს შეშვენის, იგი შეუდარებელი გახლდათ არამარტო დაცვაში, რასაც კარგა ხანია შეჩვეულნი ვართ, არამედ შეტევაშიც.

თავისი ახალი სამშობლოს მაისურით ასევე საუკეთესო მატჩი ჩაატარა ტორინ გრინმა. მან ჯერ დებიუტში გაიბრწყინა ინდივიდუალურად, როცა მეტოქის ფარქვეშ განხორციელებული რამდენიმე გარღვევა დაასრულა ზუსტი ტყორცნით, შემდეგ კრიტიკულ ვითარებაში ჩააგდო სამქულიანი, რითაც მასპინძელთა სახიფათო სპურტს დაუსვა წერტილი, ხოლო სამაგალითო ნებისყოფა დასკვნით ეპიზოდებში გამოამჟღავნა, როცა „ნერვების ომში" 6 საკვანძო საჯარიმოდან ხუთი გამოიყენა.

ვიმეორებთ: სპორტული გმირობისთვის მთელი ჩვენი გუნდი იმსახურებს კომპლიმენტებს, მაგრამ დასახელებული დუეტის ფონზე ამჯერად დანარჩენებიდან არავის გამოვარჩევთ და მხოლოდ გამარჯვებულთა პირად მონაგარს გაგაცნობთ:

***მარკოიშვილი – 23, გრინი – 14, ფაჩულია – 12, სანიკიძე, ცქიტიშვილი – 8-8, ცინცაძე – 6, შენგელია, გამყრელიძე – 5-5, შერმადინი – 2 ქულა.***

რაც შეეხება როსენ ბარჩოვსკის ნაკრებს, მის წევრთაგან მხოლოდ ფილიპ ვიდენოვმა (29 ქულაძ გაიბრწყინა, თუმცა მხოლოდ ერთმა მერცხალმა გაზაფხული ვერ მოიყვანა.

**პოლონეთი – ბელგია 93:73.**

**ბელგია, საქართველო – 3-3, ბულგარეთი, პოლონეთი – 2-2, პორტუგალია – 0 მოგება.**

**გია პლატონიშვილი**

ფეხბურთი



# აქეთურ-იქითური

**მორიგი ეროვნული ჩემპიონატი აღსანიშნავი ფაქტით დაიწყო: უმაღლეს ლიგას ქუთაისის „ტორპედო" და ფოთის „კოლხეთი" დაუბრუნდნენ!**

**არის კიდევ ერთი გამოსარჩევი გარემოება: ელიტას დედაქალაქის მხოლოდ ორი კლუბი შემორჩა.**

რაც შეეხება სასტარტო ტურს, ხუთი შეხვედრიდან სამი ფრედ დასრულდა: „ტორპედო" – „ოლიმპი" 1:1, „ცხინვალი" – „სამტრედია" 2:2, „სიონი" – „კოლხეთი" 0:0, დანარჩენებში კი წარმატებას ერთნაირი შედეგით შარშანდელი სეზონის ლაურეატებმა – ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ" და თასის მფლობელმა „დინამომ" მიაღწიეს, რომლებმაც შესაბამისად ზუგდიდის „ბაიას" და „ზესტაფონს" სძლიეს – 2:1.




სხვათა შორის, მსგავსება თბილისელთა მონაწილეობით გამართული მატჩების სიუჟეტებშიც შეინიშნებოდა. კერძოდ, ვეტერინართა მეტოქეს მოთამაშე ბრძოლის დებიუტშივე გაუძევეს მინდვრიდან, ხოლო ყვირილასპირელებს – შესვენების შემდეგ, თანაც ერთბაშად – ორი!

ასე რომ, სამომავლოდ ყველამ გაითვალისწინოს: დაუსჯელი აღარავინ დარჩება (ყოველ შემთხვევაში, ასეთია პროფესიული ფეხბურთის ლიგის ახალ მესვეურთა პრინციპული პოზიციაძ. ვიმედოვნებთ, ასევე მოგვარდება თითოეული ტურის ცენტრალური შეხვედრის პირდაპირი ტელერეპორტაჟის საკითხი რომელიმე არხზე.

* * *

**ინგლისი. I ტური.** „ლივერპული" – „არსენალი"- 1:1, „ჩელსი" – „ვესტ ბრომვიჩი" 6:0, „ფულჰემი" – „ბლექპული" 0:4, „ასტონ ვილა" – „ვესტ ჰემი" 3:0.

**საფრანგეთი. II ტური.** „ბორდო" – „ტულუზა" 1:2, „კაენი" – „ლიონი" 3:2, „ლილი" – „პსჟ" 0:0, „ვალანსიენი" – „მარსელი" 3:2.

**ესპანეთის სუპერთასი. I მატჩი.** „სევილია" – „ბარსელონა" 3:1.

ფიფა

# ფრეები გაუქმდება?!




**ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების სანახაობრიობის გაზრდისკენაა მიმართული თანამედროვე ფეხბურთის შტაბის – ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის ახალი ინიციატივა მუნდიალის ჯგუფურ ეტაპზე ფრეთა გაუქმების თაობაზე.**

ბლატერის შეთავაზებით ჯგუფური სტადიის თამაშებზე ან უნდა აღდგეს „ოქროს გოლის" წესი, ან კიდევ 90 წუთის გასვლისთანავე დაარტყან პენალტები. ფიფას თავკაცის აზრით, ამით ტურნირი გაცილებით საინტერესო გახდება.

ამჟამად „ოქროს გოლის" წესი აღარ გამოიყენება, პლეი-ოფში კი ფრეს შემთხვევაში თამაშობენ ორ 15-წუთიან დამატებით ტაიმს (თამაში არ წყდება, თუ რომელიმე გუნდი გოლს გაიტანსძ.

ბლატერის განცხადებით, ფიფა განაგრძობს კარის აღების მაქსიმალურად ზუსტი დაფიქსირების ტექნოლოგიის ძიებას.

ჩოგბურთი

# კიმის და ენდის ბენეფისი

**ცინცინატიში (აშშძ დამთავრდა ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 2000000ძ, რომელშიც მსოფლიოს უძლიერესი მოთამაშეები მონაწილეობდნენ.** სერბმა ანა ივანოვიჩმა დიდი ხნის შესვენების შემდეგ ასპარეზობა წარმატებით დაიწყო, მაგრამ ნახევარფინალი მისთვის უიღბლოდ დასრულდა: კიმ კლაისტერსთან შეხვედრისას, როცა ანგარიში იყო 2:1 ბელგიელის სასარგებლოდ, ივანოვიჩს ფეხის კუნთი დაეჭიმა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. მეორე ნახევარფინალურ პაექრობაში რუსმა მარია შარაპოვამ თანამემამულე ანასტასია პავლიუჩენკოვას აჯობა – 6:4, 3:6, 6:2. გადამწყვეტი ორთაბრძოლა ბელგიელმა სამ სეტში მოიგო და მთავარ პრიზს დაეუფლა.






ვაჟებში (ტორონტო, 3000000) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შოტლანდიელი ენდი მიურეის ასვლა მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, რადგან მან ეს ტურნირი შარშანაც მოიგო. ამჯერად ბრიტანელმა მეოთხედფინალში დავით ნალბანდიანს (არგენტინაძ სძლია 6:2, 6:2, ნახევარფინალში ტურნირის უმთავრესი ფავორიტი – ესპანელი რაფაელ ნადალი ჩამოიცალა გზიდან – 6:3, 6:4, ფინალში სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩის მძლეველი როჯერ ფედერერი (შვეიცარიაძ დაჯაბნა – 7:5, 7:5 და, როგორც აღვნიშნეთ, ტიტული შეინარჩუნა.

**ლექსო ცინცაძე**

ინტერნეტიდან

## კალათბურთელი მოკრივის წინააღმდეგ

**ამ ორთაბრძოლამ უამრავი მაყურებელი მიიზიდა – სახელგანთქმული ამერიკელი კალათბურთელი შაკილ ო' ნილი აგრძელებს მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების გაოცებას. ახლახან მან საკუთარი ტელეშოუ გახსნა და აწყობს შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობების ათლეტებთან.**

ახლა კი კრივის რინგზე ის დაუპირისპირდა ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს ქვესაშუალო წონაში შეინ მოზლის, წონასა და სიმაღლეში უზარმაზარი განსხვავების მიუხედავად, მოზლიმ ხუთრაუნდიან ბრძოლაში გაუძლო მეტოქის შეტევებს და გაიმარჯვა კიდევაც (ყველა მსაჯმა გადაწყვიტა 48:47 შეინის სასარგებლოდძ. დამარცხებით შეშფოთებულმა შაკილმა მაშინვე დატოვა მოედანი და შეასრულა დადებული პირობა – ვარდისფერი ბიკინით შემორბინოს სპორტის სასახლეს.




## პოკერი — ფულის წყარო



**როგორც ამბობენ, ყველაზე წარმატებული იტალიელი მოდელი (ისინი კი აპენინებზე თანდათან მცირდებიანძ მელიტა ტონიელლო ახლო მომავალში უფრო მეტ სახელს მოიხვეჭს. ამ დღეებში ლამაზმანი აირჩიეს კომპანიის Comind VC Corporation Spa სახედ მისი მარკის პოპულარიზაციისთვის. ქალიშვილმა ივახშმა კომპანიის პრეზიდენტ ფაბრიციო კრიმისთან, რომელიც მას დაჰპირდა ეშმაკუნას სახელზე ინტერნეტ-პორტალის შექმნას (ეშმაკუნა მელიტას შემოქმედებითი ფსევდონიმიაძ. „ჰლეიბოის" ვარსკვლავის მუშაობა პოკერის განვითარებისთვის ანაზღაურდება წელიწადში 10 მილიონი ევროთი.**

ეს ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო საქმეა. და გასაგებიცაა, რატომ აირჩიეს ამისთვის სწორედ ეშმაკუნა მელიტა. თანაც ამბობენ, რომ კომპანიის პრეზიდენტს ლამაზმანი შეუყვარდაო. იმასაც ამბობენ, მამაკაცებში „გათქვეფილ" მელიტას გათხოვების გაგონებაც არ უნდაო.

ხსოვნა

# ლორიკ მარშანია



გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლორიკ ბესარიონის ძე მარშანია.

ლორიკ მარშანია დაიბადა 1932 წელს ქ. ოჩამჩირეში. დაამთავრა ქ. სოხუმის მე-4 საშუალო სკოლა. 1957 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი. 1957-1959 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ა. რ. საგეგმო კომიტეტში. 1959-1963 წლებში მოსკოვის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის ასპირანტია. 1963 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1963-1964 წლებში მუშაობდა გულის სახ. საკვლევ ინსტიტუტში, ხოლო 1964-1973 წლებში – საქართველოს სუბტროპიკულ ინსტიტუტში ჯერ დოცენტის თანამდებობაზე, შემდეგ კი პრორექტორად სამეცნიერო დარგში.

1973-1975 წლებში ლორიკ მარშანია აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა, ხოლო 1978-1980 წლებში არჩეულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომპარტიის საოლქო კომიტეტის მდივნად.

1980-1985 წლებში ლორიკ მარშანია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის მოადგილეა. 1985-1991 წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის რექტორია. 1988 წელს ლორიკ მარშანიამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ამავე წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

1992-2002 წლამდე ლორიკ მარშანია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა, ხოლო 2002 წლიდან დღემდე უმაღლესი საბჭოს მრჩეველია.

1995 წელს ლორიკ მარშანია არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ლორიკ მარშანია 250-ზე მეტი ნაშრომის ავტორია, მათ შორის არის მრავალი მონოგრაფიის ავტორია ხელმძღვანელი.

ლორიკ მარშანია საქართველოს პატრიოტი, პატიოსანი და კეთილშობილი პიროვნება გახლდათ. ყოველთვის გამოირჩეოდა დახვეწილი ინტელიგენტურობით, დარბაისლობით, სიდინჯით და საქმისადმი ერთგულებით.

ლორიკ მარშანიას მრავალი სახელმწიფო ჯილდო აქვს მინიჭებული, განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. გორგასლის I ხარისხის ორდენი, რაც მისი პატრიოტული და გმირული სულისკვეთების დამადასტურებელია.

წავიდა ჩვენგან დიდი მეცნიერი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. მისი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

---



აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ქართველი და აფხაზი ხალხის გამორჩეული შვილი, გამოჩენილი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ცნობილი ხელმძღვანელი მუშაკი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი, ქართულ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობის აღდგენის გულმხურვალე ქომაგი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობა და აფხაზეთის აღორძინების“ კოორდინატორი

ლორიკ ბესარიონის ძე მარშანია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 19 აგვისტოს. გამოსვენება წმინდა სამების ეკლესიიდან 15 სთ.

ინფორმაცია

## რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოქალაქე რა ეროვნებისა იქნება?

რამზან კადიროვის მიერ ჩეჩნეთში მოკლული მოთარეშის საქართველოს მოქალაქედ მოხსენიებაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე.

არეშიძე მიიჩნევს, რომ თუ აღნიშნული არ იყო მორიგი ფანდი, შესაძლოა, მოკლული ბოევიკი ქისტი იყოს.

– ამაში არაფერი საგანგაშო არ არის. საქართველოს მოქალაქე შესაძლოა ქისტი ყოფილიყო. არის რამდენიმე ქისტი, რომელიც იქეთ მხარეს იბრძოდა და გარდა ამისა ეს შეიძლება ყოფილიყო მორიგი ფანდი იმისათვის რომ საქართველოს ყურადღება მიექცეს, – განაცხადა არეშიძემ.

შეგახსენებთ, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა განაცხადა რომ აჩხოი-მარტანის რაიონში მოკლული ბოევიკი საქართველოს მოქალაქე, 1980 წელს დაბადებული როლანდ მაჩალიკაშვილი იყო.

– შემთხვევის ადგილას ნაპოვნია მის სახელზე გაცემული პასპორტი, – განაცხადა კადიროვმა და დასძინა, – ჩვენ გვაშფოთებს ის ფაქტი, რომ ბოევიკების რიგებში მეზობელი ქვეყნის მოქალაქე აღმოჩნდა. ეს მიანიშნებს, იმაზე, რომ უცხოელების მცდელობა შეაღწიონ ჩრდილოეთკავკასიის რეგიონში ტერაქტების მოსაწყობად, სამხედრო მოსამსახურეებისა და მილიციის წინააღმდეგ ცეცხლის გასახსნელად გრძელდება.

ჯი-ეიჩ-ენი

ეპიტაფია

# ღირსეული მამულიშვილის ბატონ ლორიკ მარშანიას გამოსათხოვარი



თხემით ტერფამდე აფხაზო, თხემით ტერფამდე ქართველო, წებელდის მრავალსაუკუნოვან მარშანთა თავადიშვილო, დიდო მეცნიერო და დიდო მამულიშვილო, მეცნიერების და კაცობის აკადემიკოსო, ბატონო ლორიკ,

უეცარმა ტრაგიკულმა სიკვდილმა წაგართვათ სიცოცხლე, მაგრამ ვერ წაგართვათ უკვდავება, რომელიც სიცოცხლეშივე დაიმკვიდრეთ. თქვენზე, როგორც სახელმწიფო მოღვაწეზე და ცნობილ მეცნიერზე, ქვეყნის ბედით შეჭირვებულ კაცზე, ვაჟკაცობის ეტალონზე, ბევრი ითქმება და დაიწერება, მაგრამ დღეს, გლოვის წუთებში, მხოლოდ თქვენს დიდ აფხაზობაზე მინდა საჯაროდ განვაცხადო.

დროდადრო, საქართველოში იბადებიან დიდი მამულიშვილები, რომლებიც ისტორიას შემორჩებიან, როგორც ქართულ-აფხაზური ერთიანი ისტორიული მომავლის მშენებლები. თქვენ ამ კოჰორტის გამორჩეული პიროვნება ბრძანდებოდით.

გარეშე ძალების, იმპერიულ ექსპანსიასა და ცრუპატრიოტ პოლიტიკოსთა ამბიციებს შეწირული ქართველთა და აფხაზთა გაუცხოების გამო ბევრი რამ გადაფასდა და ბევრმა ღირებულებამ ფასი დაკარგა. თურაშაულის პატრონები პანტას ვეძებდით ტყეში. უსამართლობის მძიმე განცდის მიუხედავად, თქვენ სიცოცხლის ბოლო წუთამდე შეუპოვრად და თავგანწირულად იცავდით ჭეშმარიტ აფხაზთა ისტორიულ ეროვნულ ღირებულებებს, ქართველთა და აფხაზთა ძუძუმტეობის ფენომენს. ვიდრე სხვები რევანშზე ოცნებობდნენ, თქვენ მშვიდობის მშენებელ თანამოაზრეებს კრებდით და აერთიანებდით ენგურს გაღმა-გამოღმა.

თქვენი სტრიქონების ერთ-ერთი პირველი მკითხველი მე გახლდით და ზოგიერთი ამონარიდის ხმამაღლა თქმის უფლებას მივცემ ჩემს თავს. თქვენ ბრძანებდით: „ვაპატიოთ ეს ომი ერთმანეთს, რათა არ განმეორდეს“, „აფხაზთა და ქართველთა მეგობრობას, სამწუხაროდ, ორივე მხრიდან ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ გზა ერთმანეთის გულებისაკენ“, „ჩვენ გვჯერა, რომ წარსულის შეცდომების შეგნება არ უნდა ჰყოფდეს, არამედ აერთიანებდეს ჩვენს ხალხებს“, „მე აფხაზი ვარ და ამაყად ვამბობ, რომ ჩემი საქართველო აფხაზეთიდან იწყება“, „გვეყოფა, ჩვენ უნდა დავიწყოთ ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან. დავანებოთ თავი იმას, თუ ვისი ბრალია, ვინ როგორ და რანაირად მოიქცა, დავსხდეთ ქართველები და აფხაზები და ვისაუბროთ, ჩვენ შუამავალი არ გვჭირდება. ახლა არის ფსიქოლოგიურად შეცვლილი მდგომარეობა... ხალხი მზად არის იმისათვის, რომ ერთმანეთს შეხვდეს“...

ძვირფასო ბატონო ლორიკ, რამდენი რამის გაკეთება ვერ მოასწარით. თქვენი პრაგმატიზმი, თქვენი ნიჭი და გენი ქართველთა და აფხაზთა დიდ შერიგებას, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ მოემსახურა.

მჯერა, რომ უთუოდ მალე გაივლის ეს ტკივილიანი ჟამი, მაინც გათენდება გრძელი ღამე... და ჩვენს სამკვიდროში იმ ნანატრ დიდ სუფრას ენგურიდან ფსოუმდე გავშლით და თქვენი სული ამ დიდებულ ლხინს ზეციური საქართველოდან უთუოდ საპატიო თამადად მოევლინება. მოძმე აფხაზი ხალხი ეთნოისტორიულ სივრცეს არ დაკარგავს და უზიხების ბედს არ გაიზიარებს. თქვენ კი მადლიერი შთამომავლობა ძეგლს დაგიდგამთ, ქუჩებს და მოედნებს თქვენს სახელს მიაკუთვნებს.

ბატონო ლორიკ, თქვენ ქართულ-აფხაზური სახალხო დიპლომატიის მამამთავრად შეგრაცხავენ, თქვენი სახელობის პრემიები დაარსდება თბილისსა და სოხუმში, თქვენს სახელს დაარქმევენ ახალშობილებს.

გამიჭირდება უთქვენოდ ბატონო ლორიკ! ორმოცი წლის მანძილზე მე ბევრი რამ ვისწავლე თქვენგან.

უფალს შევთხოვ, მოგიტევოს ყოველივე შეცოდებანი და დაამკვიდროს თქვენი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

სამშობლოს დიდო ჭირისუფალო, დაგვლოცეთ თქვენი ტრადიციული სადღეგრძელოთი და ლამაზი ხმით: „სადღეგრძელებელს, უდღეგრძელებელს და მადღეგრძელებელს გაუმარჯოს“...

მე კი თქვენით ყოველთვის ვიამაყებ.

**ზურაბ ერქვანია,**
*აფხაზეთის ექსპრემიერ-მინისტრი,*
*გენერალ-მაიორი*
თბილისი. 13 აგვისტო, 2010 წელი.

---

ედუარდ შევარდნაძე ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა გამოჩენილი პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე

ლორიკ მარშანია

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და ახლობლებს.

ედუარდ შევარდნაძე
თბილისი, 14.08.2010.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ლორიკ ბესარიონის ძე მარშანიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ცნობილი ხელმძღვანელი მუშაკის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს აგრარული აკადემიის აკადემიკოსის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის და მთელი რიგი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის

ლორიკ ბესარიონის ძე მარშანიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი ღრმა მწუხარებით იუწყება

ლორიკ ბესარიონის ძე მარშანიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე აკადემიის აკადემიკოსი

ლორიკ მარშანია

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი და სტუდენტობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი მეცნიერის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული ძმობისა და ერთობის ბურჯისა და მებაირახტრის, პროფესორ

ლორიკ მარშანიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი პრეზიდენტი, საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლორიკ მარშანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის
მეცნიერებათა აკადემია

---

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი სამძიმარს უცხადებს მარშანიების ოჯახს

ლორიკ ბესარიონის ძე მარშანიას

გარდაცვალების გამო.

---

კირა მიქელაძე და მერაბ ბერძენიშვილი დიდ მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრის

ილო ბარათაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

---

იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი დიდ მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის

ილია (ილოძ
ბარათაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ვულოცავთ!



სამტრედიის რაიონის სოფ. ბაშის საშუალო სკოლის ყოფილ დირექტორს, საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს, მრავალი საბრძოლო ჯილდოების და ღირსების ორდენის კავალერს, პერსონალურ პენსიონერს ლავრენტი თვალავაძეს დაბადებიდან 99 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით მისი მადლიერი მოსწავლეები გულით და სულით მივესალმებით მას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას მის მრავალრიცხოვან ოჯახის წევრებთან ერთად.

გიორგი ხაზარაძე,
ტექ. მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;
მიხეილ ბაშელეიშვილი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ვიტალი ხაზარაძე,
საქ. პარლამენტის ყოფილი წევრი;
თემურ ხაზარაძე,
რუსთავის საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი

## ვაზუსტებთ

ჩვენი გაზეთის 7 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა წერილი ჩვენს მოსკოველ თანამემამულეზე – გამოჩენილ მეცნიერზე თამაზ სამხარაძეზე. წერილის დაწერის თარიღში არასწორად არის აღნიშნული 2008 წელი, უნდა იყოს 6/VIII 2010 წელი.

## საგულისყუროა

# მეხსიერება ციფრებსა და ფაქტებში



● მეხსიერება უარესდება უკანა კბილების ამოღების დროს.
● საშუალო ადამიანი თავისი მეხსიერების თანდაყოლილი შესაძლებლობის მხოლოდ 10 პროცენტს იყენებს.
● უძილო ღამე ამცირებს დამახსოვრების უნარს საშუალოდ 40 პროცენტით.
● მეხსიერებაში ინფორმაციის მოძიების პროცესის აქტივიზაციის მომენტიდან მოგონებათა გახმიანების მომენტამდე გადის დაახლოებით 5,4 წამი.
● მოგონებათა გადინება ხდება ადრე ათვისებულ და მის მსგავს ახალ ინფორმაციას შორის კონფლიქტის შედეგად.
● მამაკაცებს ქალებზე უფრო ხშირად აწუხებთ მეხსიერების მოშლა.
● ვიტამინები „ცე“, „ე“, „ბე-6“, „ბე-12“, ბეტა-კოროტინი, ცხიმოვანი მჟავები კარგი მეხსიერების პასუხისმგებლები არიან.
● 100 მილიგრამი კოფეინი – ორი ჭიქა ყავის ეკვივალენტური დოზა –ააქტიურებს ტვინის იმ განყოფილებას, რომელიც პასუხისმგებელია ხანმოკლე მეხსიერებაზე.
● ერთი საათის გასეირნება ბუნებაში ხანმოკლე მეხსიერებას 20 პროცენტით აუმჯობესებს.
● როგორც მეცნიერებმა დაიანგარიშეს, ადამიანის ტვინს შეუძლია, დაიტიოს ბაიტების ოდენობა, რომელიც გამოიხატება 8432-ნულიანი რიცხვით.

ЗДОРОВЬЕ

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8455 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3676 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8795 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0609 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0238 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2963 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3390 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2114 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7202 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +23 – +35 |
| ქუთაისი. | +23 – +37 |
| ბათუმი. | +23 – +30 |
| ზუგდიდი. | +22 – +34 |
| თელავი. | +20 – +32 |

## დღის კალენდარი — 17 აგვისტო

ხსენება შვიდთა ყრმათა ეფესელთა: მაქსიმილიანესი, იამელიხოს, მარტინიანეს, იოანეს, დიონისეს, კონსტანტინეს და ანტონინეს; წმიდა პირველმოწამე ევდოკიასი; წმიდა მოწამე ელევთერისა; წმიდა მოწამე კოზმანისა.



ამოდის 05.11
ჩადის 18.58



ამოდის 13.53
ჩადის 23.03

### დაიბადნენ:

1686 – **ნიკოლა ანტონიო პორპორა,** იტალიელი კომპოზიტორი.
1829 – **ფილიმონ ქორიძე,** ქართველი მომღერალი, პედაგოგი, ფოლკლორისტი.
1906 – **უჩა ჯაფარიძე,** ქართველი ფერმწერი.
1911 – **მიხეილ ბოტვინიკი,** ცნობილი რუსი მოჭადრაკე.
1930 – **ლევან ჭილაშვილი,** პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. გარდაიცვალა 2004 წელს.
1937 – **გივი ვაშაკიძე,** მხატვარი.
1943 – **რობერტ დე ნირო,** ამერიკელი მსახიობი.
1946 – **ელგუჯა მეძმარიაშვილი,** საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის გენერალური დირექტორი და გენერალური კონსტრუქტორი.
1970 – **ჯიმ კურიე,** ამერიკელი ჩოგბურთელი.

### გარდაიცვალნენ:

1786 – **ფრიდრიხ II,** პრუსიის მეფე 1740-დან 1760-მდე.
1850 – **ჰოსე სან-მარტინი,** ხელმძღვანელობდა სამხრეთ ამერიკის თავისუფლებისათვის ბრძოლას.
1987 – **რუდოლფ ჰესი,** ნაცისტთა ლიდერი.

### მოვლენები:

**1682 წელი** – პეტრე I რუსეთის მეფედ აკურთხეს.
**1807 წელი** – რობერტ ფულტონმა ორთქლმავალი გამოიგონა.
**1836 წელი** – ბრიტანეთის პარლამენტმა დაამტკიცა დაბადების, ქორწინების და სიკვდილის რეგისტრაციის წესი.
**1858 წელი** – პირველად დამყარდა სატელეგრაფო კავშირი ევროპასა და ამერიკას შორის.
**1915 წელი** – ჩარლზ კეტერინგმა დააპატენტა ავტომობილის ელექტროსტარტერი.
**1917 წელი** – იტალიამ ომი გამოუცხადა გერმანიას და თურქეთს.
**1918 წელი** – ბრიტანეთის ჯარებმა იერიში მიიტანეს ბაქოზე.
**1934 წელი** – თბილისში ამოქმედდა პირველი ავტომატური ტელეფონის სადგური.
**1945 წელი** – გამოცხადდა ინდონეზიის დამოუკიდებლობა.
**1959 წელი** – სსრკ-მა და ერაყმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს ერაყში ატომური რეაქტორის მშენებლობის შესახებ.
**1960 წელი** – მოსკოვში დაიწყო ფრენსი პაუერსის სასამართლო პროცესი.
**1998 წელი** – რუსეთში ფინანსური კრიზისი დაიწყო.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**ნორვეგია** – კონსტიტუციის დღე.
**არგენტინა** – ხოსე მარტინის დღე.
**გაბონი** – ნაციონალური დღესასწაული.
**ინდონეზია** – დამოუკიდებლობის დღე.

მედიანიუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

გუშინ პრეზიდენტ მედვედევს თავი შეუძლოდ უგრძნია, პრემიერ-მინისტრ პუტინს სამუშაოდან დასთხოვნია და შინ წასულა (როგორც საქმეს ეტყობა, იგივე იქნება ჩვენთანაც 2012 წლიდან – „სრ“ რედ.ძ.

* * *

კანონიერება რუსეთში – ეს ის შემთხვევაა, როცა მთელი ქვეყნის გამქურდავი კრიმინალები გარკვეულ წესრიგს ამყარებენ, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რათა თავად ისინი არ გაქურდოს რეფორმატორთა მომავალმა თაობამ (რაიმეთი ხომ არ გაგონებთ საქართველოს? – „სრ“. რედ.ძ.



* * *

სტატისტიკის მიხედვით, ოთხასიდან მხოლოდ ერთი ადამიანია 1,90 მეტრი სიმაღლისა და მუდამ სწორედ ის ჯდება ჩემ წინ კინოში.

* * *

ქალი ზოგჯერ იმიტომ კი არ ღალატობს, რომ მას ბევრი ცუდი თვისება აქვს, არამედ იმიტომ, რომ მასში ბევრი კარგი რამ ტყუილუბრალოდ იკარგება.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.